ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 29 აპრილი, 2022 №83 (8861) ფასი: 80 თეთრი

გვ.5

თბილისში მომხდარი მკვლელობის და დაჭრის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

შემზარავი დანაშაული ვაზისუბანში

შვილმა მშობლები მოკლა და მერე ცეცხლი წაუკიდა

გვ.5

„სააკაშვილის ბედი პირადად ივანიშვილის ხელშია“

გვ.2

გედევან ფოფხაძე: „კობახიძე რუსეთის პროპაგანდისტად არის ქცეული“

„ჩემთვის იდეალური სტანდარტი იქნებოდა, რეფორმირებულ მართლმსაჯულებას, მიხეილ სააკაშვილის გვერდით საკანში, ბიძინა ივანიშვილი რომ შეესახლებინა“

„სააკაშვილს ციხეში თუ რაღაც დაემართება, ეს მთელი ქვეყნის სირცხვილია!“

გვ.3

პაატა დავითაია: „რუსეთი, როგორც კი შესაძლებლობა მიეცემა, მაშინვე ჩვენ წინააღმდეგ წამოვა“

„ყველა სახელმწიფოს პატივს ვცემ, ვინც კი რუსეთის წინააღმდეგ იბრძვის, მაგრამ სხვისი მოწოდებების გამო, მე ჩემს ქვეყანას ხრამში ვერ გადავუშვებ“

გვ.4

გიგი უგულავა: „არ ვითხოვთ, რომ შეიყვაროთ სააკაშვილი და ხვალ ხელისუფლებაში დასვათ“

გვ.2

„ახალი ამოცანა დასახა პრემიერ-მინისტრმა“

გვ.3

პრემიერ-მინისტრი თურქეთიდან იმპორტირებული მედიკამენტების რეალიზაციისა და ელექტრონული და გენერიკული რეცეპტების სისტემის დანერგვის პროცესს გაეცნო

ცხინვალის დე ფაქტო არჩევნების მეორე ტური 8 მაისს გადმოიტანეს

გვ.4

4 ანდრეი კასიანოვი: „ჩვენ გაკვირვებით ვუყურებთ საქართველოში დისკუსიას მეორე ფრონტზე“

5 2014 წელს ქალის თვითმკვლელობის გამო 3 პირს ბრალდება წარუდგინეს

5 ძვირფასი ლითონის ნაკეთობების კონტრაბანდის ფაქტზე ერთი პირი პასუხისგებაში მისცეს

6 ბენ უოლესი: „პუტინი ეთნიკური ნაციონალისტია“

1993230720223

„სააკაშვილის ბედი პირადად ივანიშვილის ხელშია“

გედევან ფოფხაძე: „კობახიძე რუსეთის პროპაგანდისტად არის ქცეული“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო გედევან, პეტრე ცისკარიშვილმა, სააკაშვილის საკნის გასაღები ბიძინა ივანიშვილს უდევს ჯიბეშიო. სააკაშვილის მდგომარეობას რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს პოლიტიკურ პროცესებზე?

– სწორია პეტრე ცისკარიშვილი, დღეს ნებისმიერი ადამიანის ბედი პირადად ივანიშვილის ხელშია. თუმცა, თუ სააკაშვილს არ განვიხილავთ, როგორც პოლიტიკურ ფიგურას, როგორც პოლიტიკის ნაწილს და მასზე ვიმსჯელებთ, როგორც ჩვეულებრივ პატიმარზე, ეს მისთვის ბევრად უფრო უკეთესი იქნება. ამას ვამბობ მხოლოდ იმ მიზეზით, რომ როდესაც ივანიშვილის მმართველობა დასრულდება და ნორმალურ მართლმსაჯულებას მასთან კითხვები ექნება და ის ციხეში აღმოჩნდება, მაშინაც უნდა გამოვიდეთ და უნდა ვთქვათ, გავათავისუფლოთ ივანიშვილი ციხიდან?!

არ მგონია სამართლიანი იყოს, ხუთი ქილა კომპოტის მოპარვისთვის ადამიანი სასჯელს ბოლომდე იხდიდეს და სააკაშვილი ჩადენილი დანაშაულების მიუხედავად, საზღვარგარეთ გავუშვათ სამკურნალოდ. დღეს საქართველოში 10 ათასიდან – 14 ათასამდე მერყეობს პატიმართა რაოდენობა, მათ წინაშე არ იქნება სამართლიანი განსაკუთრებული დამოკიდებულება სააკაშვილის მიმართ. ეს მორალურად არ იქნება სწორი.

„ჩემთვის იდეალური სტანდარტი იქნებოდა, რეფორმირებულ მართლმსაჯულებას, მიხეილ სააკაშვილის გვერდით საკანში, ბიძინა ივანიშვილი რომ შეესახლებინა“

– სახალხო დამცველმა, ექიმების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, როგორც თავად განაცხადა, სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობას შემაშფოთებელი უწოდა.

– ცხადია, თუ ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება და თუ ციხეში ყოფნა მისთვის წამების ტოლფასია, მაშინ შეიძლება სხვაგვარი გადაწყვეტილება იყოს მიღებული, მაშინ არ უნდა იყოს ციხეში, მაგრამ ეს არ უნდა გახდეს პოლიტიკის ნაწილი. პოლიტიკურ თემად რომ იქცა, ეს არის პრობლემა. ამ შემთხვევაში, გამოდის, სტანდარტს ვერასდროს ვერ დავიცავთ. ვეღარ გვექნება არც სამართლებრივი სტანდარტი და არც მორალური სტანდარტი, მე ამაზე ვსაუბრობ. ჩემთვის იდეალური სტანდარტი იქნებოდა, რეფორმირებულ მართლმსაჯულებას, მიხეილ სააკაშვილის გვერდით საკანში, ბიძინა ივანიშვილი რომ შეესახლებინა.

– ირაკლი კობახიძის განცხადებაზე მინდა გკითხოთ. ის ამბობს, რომ სააკაშვილის მიზანი იყო გახარიასა და ხაზარაძესთან ერთად ხელისუფლებაში მოსვლა და შემდეგ ქვეყნის ომში ჩათრევა. თქვენთვის ეს განცხადება პროპაგანდის ნაწილია თუ სიმართლის მარცვალი?

– გახარიასთან და ხაზარაძესთან ერთად აპირებდა სააკაშვილი ხელისუფლებაში მოსვლას თუ ვინმე სხვასთან ერთად, ეს კობახიძემ არკვიოს. რაც შეეხება ომში ჩათრევას, ამით კობახიძე გვეუბნება, რომ უკრაინაში ფრონტის ხაზი გახსნა არა პუტინმა, არამედ უკრაინამ, ეს არის შემაშფოთებელი. შემაშფოთებელია მთლიანად ის რიტორიკა, რომელიც დღეს ხელისუფლებას აქვს რუსეთთან დაკავშირებით. „ქართული ოცნება“ დღეს რუსეთის პროპაგანდისტად არის ქცეული, ჩემთვის ეს არის საგანგაშო. მე აქ ვხედავ პრობლემას და არა იმაში, სააკაშვილი რას აპირებდა მომავალში. დღეს რას ამბობს, რა რიტორიკა აქვს „ქართულ ოცნებას“, ამაშია პრობლემა.

ირაკლი კობახიძე დიდი მორალური და ზნეობრივი ღირებულებებით არასდროს გამოირჩეოდა, მაგრამ ის მთლიანად იქცა რუსეთის პროპაგანდის მანქანის ნაწილად.

– გიორგი მარგველაშვილის შესახებ გავრცელებული ინფორმაციაც, რომ ის „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიის თავმჯდომარე შეიძლება გახდეს, ამ პროპაგანდის ნაწილია?

– გასაგებია, ასეთი ფეიკნიუსები როდის და რა მიზნით ვრცელდება. ჩემთვის სრულიად გასაგები მიზეზებით ხდება მარგველაშვილის, გახარიას, ხაზარაძის „გაშავება“.

– რა მიზეზებით?

– რომ ხალხმა თქვას – „ოცნება“, გასაგებია, ვინც არის, მაგრამ ესენიც ვინ ყოფილან! ეს არის მიზანი.

– „აირის“ ბოლო სოციოლოგიური კვლევა შეიძლება ამის გამოძახილი იყოს? პირველ და მეორე ადგილს ისევ „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ იყოფენ.

– რა თქმა უნდა! ეს არის კარგად აპრობირებული პოლიტიკური თამაშის სქემა და აქ ისინი კარგად თანამშრომლობენ. ვერ გეტყვით, ეს შეთანხმებით თუ შეუთანხმებლად ხდება, მაგრამ ფაქტი ერთია, ეს სქემა დღემდე კარგად მუშაობს. ისინი ერთმანეთს არსებობას უხანგრძლივებენ. ეს ორი პოლიტიკური ძალა ჩენნაირ პოლიტიკოსებს შანსს არ უტოვებს, რომ იყვნენ პოლიტიკურად აქტიურები. ჩემთვის არც „ქართული ოცნებაა“ მისაღები და არც ნაციონალური მოძრაობა. ორივე ებრძვის ახალი პოლიტიკური რეალობის, ახალი პოლიტიკური სივრცის და ძალის გაჩენას.

„ახალი ამოცანა დასახა პრემიერ-მინისტრმა“

ლადო ბოჟაძე ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივების მნიშვნელობაზე საუბრობს.

სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის გაზრდილი დახმარება, 13.000 დევნილის ბინებით უზრუნველყოფა, გაზრდილი ექსპორტი და ტურიზმი, განვადებით მშენებლობის მასშტაბური პროგრამა, წყალმომარაგება და წყალუზრუნველყოფილი ფართობები – ეს ის საკითხები და ინიციატივებია, რომლებზე პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 18 აპრილის მთავრობის სხდომაზე ისაუბრა.

აღნიშნული პროექტების მნიშვნელობის შესაფასებლად პია თბილისის საკრებულოს წევრს ლადო ბოჟაძეს დაუკავშირდა.

– ეს არ არის სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის დახმარების პირველი მატება. ჯერ იყო 50 ლარი, შემდეგ 100, ახლა, 1 ივნისიდან, როდესაც ბავშვთა დაცვის დღე არის, 150 ლარი ხდება. საუბარია 215.000 ბავშვზე. 2023 წლის 1 იანვრიდან ეს თანხა გახდება 200 ლარი. ესეც, რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი იმ პრობლემების მოსაგვარებლად, რაც სოციალურად დაუცველ ოჯახებს აქვთ. თუმცა, სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკური ნება და მხარდაჭერა აშკარაა. ბუნებრივია, ასეთი ტიპის დახმარებები და მხარდაჭერა მუდმივად გაგრძელდება.

ცენტრალური ხელისუფლების ბიუჯეტის თითქმის 30% სწორედ სოციალურ და ჯანდაცვის პროექტებზე იხარჯება. სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ყველაზე მოწყვლად ჯგუფებს მაქსიმალური მხარდაჭერა აღმოუჩინოს, – განაცხადა ლადო ბოჟაძემ.

თბილისის საკრებულოს წევრმა პრემიერის კიდევ ერთ ინიციატივაზე ისაუბრა. როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, იწყება განვადებით მშენებლობის მასშტაბური პროგრამა. ლადო ბოჟაძის შეფასებით, აღნიშნული პროექტი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ეკონომიკის განვითარებას.

– სახელმწიფო გარანტიით სამშენებლო ბიზნესმა უნდა მოიზიდოს როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური ინვესტიციები, რომ აღნიშნული პროექტები განხორციელდეს, რომლებსაც შემდეგ ეტაპობრივად სახელმწიფოს გარანტიით გაისტუმრებს. არა ის, რომ სახელმწიფო პირდაპირ დებს ფულს, არამედ სახელმწიფო გარანტორად დაუდგება სამშენებლო სექტორს, რომ მათ, რაც შეიძლება მეტი თანხა მოიზიდონ.

დიდ იმედს ვიტოვებთ, რომ ეს იქნება მათ შორის, უცხოური ინვესტიციები, რომლებიც ასევე ჩაიდება ეკონომიკის იმ დარგში, რომელსაც მშენებლობა ჰქვია. დასაქმების თვალსაზრისითაც უამრავი სამუშაო ადგილი შეიქმნება. ჩვენი მიზანია, ეკონომიკური გამოწვევები, რომელიც დღეს მთელ მსოფლიოს აქვს, მაქსიმალურად იყოს მინიმალიზებული, – განაცხადა ლადო ბოჟაძემ.

ლადო ბოჟაძემ ასევე ისაუბრა ტურიზმისა და ექსპორტის გაზრდილ მაჩვენებელზე.

– ტურისტული სექტორი სახელმწიფოს მხარდაჭერითა და სხვადასხვა პროგრამაში მათი ჩართულობით ახერხებს, დაუბრუნდეს იმ პარამეტრებს, რომელიც გვქონდა 2019 წელს. ვიზიტორების რაოდენობა იზრდება. იცით, რომ რუსეთსა და უკრაინას განსაკუთრებული წვლილი ჰქონდა, ძალიან ბევრი ტურისტი სტუმრობდა საქართველოს ამ ქვეყნებიდან. ამ სერიოზული გამოწვევების მიუხედავად, ჩვენი ეკონომიკა ახერხებს, რომ მაქსიმალურად ჩანაცვლდეს ბაზრები, ეს არის ევროკავშირის ბაზარი.

ეს მიმართულება მაქსიმალურად უნდა ავითვისოთ და გამოვიყენოთ. ევროკავშირი და საქართველო სხვადასხვა პროგრამას ახორციელებს იმისთვის, რომ ბიზნესისთვის უფრო ადვილი იყოს ამ ბაზრებზე შესვლა და თავის დამკვიდრება, ისევე, როგორც ძალიან მნიშვნელოვანი ბაზარია ჩინეთი, – აღნიშნა ბოჟაძემ.

ის გამოეხმაურა პრემიერის კიდევ ერთ პროექტს, რომლის ფარგლებშიც ყველა იმ მუნიციპალიტეტსა და ქალაქს ექნება მუდმივი წყალმომარაგება, რომელსაც აქამდე არ ჰქონდა.

– როგორც სასმელი წყალი, ისე სარწყავი წყალი ძალიან დიდი პრობლემაა ჩვენი ქვეყნისთვის. „ქართულმა ოცნებამ“ ქალაქები, იგივე ქუთაისი, ბათუმი უზრუნველყო 24 საათიანი წყალმომარაგებით.

ახალი ამოცანა დასახა პრემიერ-მინისტრმა, რომ 200.000 ჰექტარზე მეტი ფართობი მუდმივად იყოს უზრუნველყოფილი. მიწები, რომელთაც აქვთ მორწყვის პრობლემა, იყოს უზრუნველყოფილი იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტი ინვესტიცია ჩადონ ფერმერებმა სოფლის მეურნეობაში. კიდევ უფრო მეტი პროექტი განხორციელდეს, რომ, ერთი მხრივ, უზრუნველვყოთ ჩვენი სასურსათო დეფიციტი და ნაკლებად ვიყოთ იმპორტზე დამოკიდებული, მეორე მხრივ, ბიოლოგიურად ჯანსაღი პროდუქცია გავიტანოთ ექსპორტზე და ფერმერებმა კიდევ უფრო მეტი შემოსავალი მიიღონ.

ეს ყველაფერი სწორედ იმიტომ კეთდება, რომ ჩვენ გავაძლიეროთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა და დიახ, სახელმწიფოსა და მთავრობის მთავარი საზრუნავი სწორედ ეს გახლავთ, რომ მაქსიმალური მხარდაჭერა ჰქონდეს ბიზნესს, – განაცხადა ლადო ბოჟაძემ.

ანდრია გვიდიანი: „ინიციატივები, რომლებიც ორიენტირებულია განვითარებაზე, არის პოზიტიური“

ექსპერტმა ანდრია გვიდიანმა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ მთავრობის სხდომაზე გაჟღერებული ახალი ინიციატივების შესახებ ისაუბრა.

ექსპერტმა პრემიერის ინიციატივები პოზიტიურად შეაფასა.

– სოციალური დახმარებების ზრდა მომავალ წლებშიც გაგრძელდება იმ დოზით, რის საშუალებას ბიუჯეტი მისცემს მთავრობას. სხვა არაერთი პროექტი და პროგრამა არის დაანონსებული სოციალური პოლიტიკის ფარგლებში, რომელიც მნიშვნელოვან ცვლილებებს გამოიწვევს საზოგადოების სოციალური დაცულობის თვალსაზრისით.

რაც შეეხება სხვა ინიციატივებს, იყო ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით, რომელიც ე.წ. განვადებით მშენებლობას გულისხმობს. შესაბამისად, ბევრი პროექტი დაიწყება ამ ფარგლებში, მათ შორის რეგიონების განახლების პროექტი, პოლიციელების ქალაქი მშენებლობა. ბევრი პროექტი არის, რომელიც განვადებით მშენებლობის ფარგლებში დაფინანსდება. მთავრობა ორიენტირებული არის ეკონომიკურ ზრდაზე, ინფრასტრუქტურული პროექტები წამოწეული არის წინა პლანზე. მთავრობის პოლიტიკა ორიენტირებული არის ეკონომიკური ზრდის პოზიტიური ტემპების შენარჩუნებაზე და უფრო მეტად გაზრდაზე, – აცხადებს ანდრია გვიდიანი.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ექსპორტი 26%-ით გაიზარდა, რაც 411 მილიონი დოლარს შეადგენს.

– საქართველოში ყოველდღიურად იზრდება ექსპორტი და მნიშვნელოვანია, რომ მთავრობის პოლიტიკა ორიენტირებული არის საექსპორტო პროდუქციის წარმოების სტიმულირებაზე, მათ შორის, ახალი ბაზების მოძიებაზე. ჩვენ გვაქვს თავისუფალი ვაჭრობა სხვადასხვა ქვეყნებთან. წარმოების თვალსაზრისით საქართველო არის ერთ-ერთი საინტერესო ქვეყანა, რეგიონში არც ერთ ქვეყანას არ აქვს იმხელა თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობები სხვა ქვეყნებთან, რამდენადაც საქართველოს. ყველაზე დიდი მოცვა საქართველოს აქვს. ექსპორტის ზრდა მუდმივი პროცესია და იმ საგარეო ვაჭრობის პოლიტიკიდან გამომდინარე, რასაც მთავრობა ატარებს, ლოგიკური გაგრძელებაა, რომ ექსპორტის ზრდა გაგრძელდება.

პრემიერ-მინისტრის ყველა ინიციატივა არის პოზიტიური. ინიციატივები, რომლებიც ორიენტირებულია განვითარებაზე, იქნება ეს წყალმომარაგება, სოციალური პოლიტიკა, პოლიციელებისთვის სახლების მშენებლობა, ბაზების აშენება და ა.შ. ყველა ის ინიციატივა, რაც მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა დააანონსა, რასაკვირველია, არის პოზიტიური. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ასეთი ინიციატივები უფრო გახშირდეს, უფრო მეტად ინტენსიური იყოს და ასეთი პროექტები გაგრძელდეს, – აღნიშნავს ექსპერტი.

ირაკლი ღარიბაშვილმა 18 აპრილს მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ სოციალურად დაუცველი ბავშვების დახმარება 150 ლარამდე იზრდება, ასევე მომდევნო 3-4 წელიწადში 13 ათასამდე დევნილი ოჯახი ბინებს მიიღებს.

გარდა ამისა, პრემიერის თქმით, იგეგმება როგორც ახალი სკოლებისა და ბაგა-ბაღების მშენებლობა, ისე ძველების რეაბილიტაცია. ირაკლი ღარიბაშვილმა, ასევე, განაცხადა, რომ ექსპორტი 26%-ით გაიზარდა.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„სააკაშვილს ციხეში თუ რაღაც დაემართება, ეს მთელი ქვეყნის სირცხვილია!“

პაატა დავითაია: „რუსეთი, როგორც კი შესაძლებლობა მიეცემა, მაშინვე ჩვენ წინააღმდეგ წამოვა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პაატა დავითაია პასუხობს.

– ბატონო პაატა, ურთიერთობა უკრაინის და საქართველოს ხელისუფლებებს შორის კიდევ ერთხელ დაიძაბა. უკრაინაში გაკეთებული განცხადებების შემდეგ, ჩვენ მოვისმინეთ პრემიერ-მინისტრის განცხადებები, რომ კონკრეტული ადამიანები საქართველოში მეორე ფრონტის გახსნას ცდილობენ. როგორია თქვენი შეფასებები ამ ყველაფერთან დაკავშირებით?

– მე ძალიან ცივი გონებით გიპასუხებთ ამ ყველაფერზე და მინდა, რომ სწორად იყოს გაგებული. პირველი, უკრაინის ხელისუფლების მოქმედება, მეორე ფრონტთან დაკავშირებით, უკრაინის ინტერესებიდან გამომდინარე, არის სწორი, რათა უკრაინამ დარტყმა გაიადვილოს. ხაზს ვუსვამ, უკრაინის ინტერესებიდან გამომდინარე არის სწორი, მაგრამ საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, არ არის სწორი.

– ნეგატიურად აფასებს უკრაინის ხელისუფლების განცხადებებს?

– როდესაც უკრაინა ცდილობს ჩვენთან მეორე ფრონტი გამოიწვიოს და ამას აცხადებს, მე მათი მესმის, ომში არიან და უნდათ, ეს ომი შეიმსუბუქონ. ხოლო ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ ჩვენი სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე. ნებისმიერი სახელმწიფო მოღვაწე, ნებისმიერი საქართველოს მოქალაქე, იომოს თუ არა რუსეთთან, ან როდის უნდა იომოს, ამას გადაწყვეტს თვითონ. ეს არის რეალური ფორმულა, როგორც მე ვხედავ და როგორც მე აღვიქვამ ყველაფერს. მე არ დავიწყებ პოლიტიკური პარტიების განცხადებების კომენტირებას მარტივი მიზეზის გამო, არ მინდა დავეშვა მათ დონეზე და უკრაინაში არსებული მძიმე სიტუაცია გამოვიყენო პოლიტიკური განცხადებებისათვის.

– ხელისუფლების ქმედებებზე რას იტყვით?

– რუსეთთან მიმართებაში ფრთხილი მოქმედება არის სწორი, მაგრამ ეს ფრთხილი მოქმედება სწორი იქნება მაშინ, თუ ჩვენ დავიწყებთ მზადებას თავდაცვისათვის. იმიტომ, რომ რუსეთი, როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცემა, მაშინვე ჩვენ წინააღმდეგ წამოვა. ამიტომ, ფრთხილი პოლიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ მოიგო დრო, ემზადო თავდაცვისათვის და მაქსიმალურად გაძლიერდე. აი ეს იქნება სწორი მიდგომა შიდა პოლიტიკასთან დაკავშირებით.

– ბატონო პაატა, ანუ თქვენთვისაც მიუღებელია არისტოვიჩის განცხადებები?

– ყველა სახელმწიფოს პატივს ვცემ, ვინც კი რუსეთის წინააღმდეგ იბრძვის, მაგრამ სხვისი მოწოდებების გამო, მე ჩემს ქვეყანას ხრამში ვერ გადავუშვებ. სხვათა შორის, ის ფასი, რა ფასსაც დღეს უკრაინა იხდის, ეს ფასი ჩვენ უკვე გადახდილი გვაქვს.

– ბატონო პაატა, რა შეფასებას გააკეთებთ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით? ისმის შეფასებები, რომ ის საკმაოდ მძიმედ არის და საჭიროებს სამკურნალოდ ქვეყნიდან გაყვანას. ხელისუფლება ამის კატეგორიული წინააღმდეგია. რას იტყვით თქვენ?

– მოდით ასე ვთქვათ, მიხეილ სააკაშვილი არ არის ჩვეულებრივი პატიმარი. როგორც არ უნდა ვილაპარაკოთ, მოგვწონს ჩვენ სააკაშვილი თუ არა, ვუჭერთ მხარს, თუ არ ვუჭერთ. ის იყო საქართველოს პრეზიდენტი და პირველი შემთხვევაა, რომ საქართველოს პრეზიდენტი ციხეში ზის. პირდაპირ ვამბობ, რომ სააკაშვილი არ არის ჩვეულებრივი პატიმარი, ამიტომ თუ მას რაღაცა დაემართება ციხეში, ეს იქნება ყველას სირცხვილი, საქართველოს ყველა მოქალაქის სირცხვილი. ჩვენ ჯერ ზვიად გამსახურდიას როგორც მოვექეცით, ის სირცხვილიც ვერ ჩამოვირეცხეთ. აქედან გამომდინარე, იმისი ალბათობა, რომ სააკაშვილს რამე დაემართოს, არსებობს და სააკაშვილის ციხეში სიკვდილი, ეს იქნება კატასტროფა ქართული სახელმწიფოსათვის. აბსოლუტურად ყველაფერი უნდა გაკეთდეს, არაორდინარული მიდგომები უნდა იყოს, თუ გადაყვანას საჭიროებს უნდა გადაიყვანონ კიდეც, რომ სააკაშვილის ჯანმრთელობას არაფერი დაემუქროს ციხეში.

„ყველა სახელმწიფოს პატივს ვცემ, ვინც კი რუსეთის წინააღმდეგ იბრძვის, მაგრამ სხვისი მოწოდებების გამო, მე ჩემს ქვეყანას ხრამში ვერ გადავუშვებ“

– ბატონო პაატა, რას იტყვით უკრაინაში არსებულ სიტუაციაზე? თქვენ საუბრობდით, რომ ეს ომი ასე მალე არ დასრულდება და ეს ხანგრძლივი პროცესია. რას იტყვით ახლა?

– მეც მაქვს მოლოდინი უკვე 30 წელია, რომ გულრიფშში ვიქნები, ჩემს სახლში ყაზბეგის ქუჩაზე, მაგრამ რეალობა სულ სხვაგვარია. ამიტომ ვამბობდი თქვენთან ინტერვიუში, რომ ეს არის დიდი ხნის პროცესი. ახლა, ვიღაცას რა მოლოდინები აქვს და თავის თავს იტყუებს, ეგ სხვა თემაა. სამწუხაროდ, ეს პროცესი არის დიდი ხნის თემა. ასევე, არც პუტინის ცვლილებაში ვხედავ შვებას, რადგან რუსეთი არის იმპერია და ვინც არ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, ისტორიამ აჩვენა, რომ ეგ არის იმპერიულად განწყობილი სახელმწიფო, რომელიც ცდილობს, მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიების დაპყრობას.

– მოლდოვასთან დაკავშირებით გაუჩნდა ახალი ზრახვები რუსეთსო, რამდენად ელოდებით, რომ მასზეც განახორციელოს შეტევა?

– არა მარტო მოლდოვა, სამხრეთ კორეაზეც განახორციელებს შეტევას, თუკი ამის შესაძლებლობა მიეცემა.

– რამდენად სწორი პოლიტიკა აირჩია დასავლეთმა რუსეთის მიმართ?

– მე ვფიქრობ, რომ დასავლეთის პოლიტიკა საკმაოდ მობილიზებულია, მაგრამ არასაკმარისი. დასავლეთმა, დღეს იმ განაცხადის შემდეგ, რაც მოლდოვამ და საქართველომ შეიტანა ევროკავშირის წევრობაზე, აუცილებლად უნდა დააკმაყოფილოს! უნდა შექმნას ევროპის უსაფრთხოების ძალები. უნდა ჩამოყალიბდეს ევროპის ახალი თავდაცვითი სისტემა. ქვეყნები, რომლებსაც სერიოზული საფრთხე ემუქრება რუსეთის მხრიდან და სანამ ამას არ ჩამოაყალიბებენ, ასე იწვალებენ სულ.

– როგორ გესახებათ ჩვენი მომავალი ამ სიტუაციაში?

– მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ევროკავშირის წევრი ქვეყანა გავხდებით.

– მოლდოვამ და უკრაინამ კითხვარი უკვე შეავსეს და ჩვენ ხომ არ ვაგვიანებთ?

– მე ამ დარგის სპეციალისტი ვარ და არაფერს საგანგაშოს ამაში არ ვხედავ, ჩვენ დრო გვაქვს ივნისის ბოლომდე. მე კითხვარს გავეცანი, არ არის მარტივი კითხვარი, არის ბევრი საკითხი, რასაც მე სკეპტიკურად ვუყურებ, რომ გაუჭირდება სახელმწიფოს. ამიტომ პოლიტიკური გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ევროკავშირმა. ნებისმიერი პასუხიდან გამომდინარე მოლდოვა და საქართველო გააწევრიანოს. დასავლეთმა დაუშვა შეცდომა და ამას მოყვა 2008-ში საქართველოში ომი, მერე უკრაინაში ომი. ამიტომ დასავლეთმა ახლა შეცდომა აღარ უნდა დაუშვას. თუკი განაცხადი არ დაკმაყოფილდა, ეს იქნება მწვანე შუქი პუტინისთვის საქართველოს და მოლდოვის წინააღმდეგ. ვადა ჩვენ ივნისის ბოლომდე გვაქვს, ამიტომ ჯობია, მშვიდად და წყნარად შეავსონ.

პრემიერ-მინისტრი თურქეთიდან იმპორტირებული მედიკამენტების რეალიზაციისა და ელექტრონული და გენერიკული რეცეპტების სისტემის დანერგვის პროცესს გაეცნო

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი თურქეთიდან იმპორტირებული ხელმისაწვდომი მედიკამენტების რეალიზაციის პროცესს გაეცნო. მთავრობის მეთაური ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ ზურაბ აზარაშვილთან ერთად თბილისის ერთ-ერთ სააფთიაქო ქსელში იმყოფებოდა.

პრემიერი დაინტერესდა, რამდენად მაღალია მოქალაქეების მოთხოვნა თურქეთიდან იმპორტირებულ მედიკამენტებზე, ასევე, როგორ დაინერგა პრაქტიკაში ელექტრონული და გენერიკული რეცეპტების სისტემა.

ირაკლი ღარიბაშვილი ფარმაცევტებს და მოქალაქეებს გაესაუბრა და აღნიშნა, რომ მთავრობისთვის პრიორიტეტულია, მოსახლეობისთვის წამლებზე ხელმისაწვდომობის მაქსიმალური გაზრდა და ამავდროულად, მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა. სწორედ ამიტომ, მთავრობის მეთაურის თქმით, ყველა ის მედიკამენტი, რომელიც შემოვიდა და შემოვა თურქეთიდან, „ჯი-ემ-პი“ სტანდარტისაა.

მოქალაქეებმა მთავრობის მეთაურსა და ჯანდაცვის მინისტრს მადლობა გადაუხადეს აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისთვის და აღნიშნეს, რომ თურქეთიდან იმპორტირებული წამლების შემდეგ მათი ჯიბიდან გადახდები საგრძნობლად შემცირდა.

თურქეთის ფარმაცევტული ბაზარი, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, 17 იანვარს გაიხსნა, რის შედეგადაც ქვეყანაში 250-მდე დასახელების, მათ შორის ქრონიკული დაავადებების სამკურნალო წამლები 60-70-80%-მდე ნაკლებ ფასადაა ხელმისაწვდომი. თურქეთიდან იმპორტირებული იაფი წამლების შეძენა, ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა დიდ სააფთიაქო ქსელშია შესაძლებელი. პრეპარატებისა და მიმწოდებელი ფარმაცევტული დაწესებულებების სია კი მუდმივად იზრდება.

ფარმაცევტული კომპანიები აქტიურად თანამშრომლობენ თურქულ მხარესთან, რათა მედიკამენტების ჩამონათვალი უფრო მრავალფეროვანი და ხელმისაწვდომი იყოს. ჯანდაცვის სამინისტრომ ასობით მედიკამენტი პროაქტიულადაც დაარეგისტრირა, რაც ქვეყანაში წამლების შემოტანის პროცესს კიდევ უფრო ამარტივებს.

ამასთან, ხარისხიან მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის კუთხით ჯანდაცვის სამინისტრო ფარმაცევტულ რეფორმას ახორციელებს. რეფორმის შედეგად, მედიკამენტების რეცეპტი მატერიალური სახით (ქაღალდზე) აღარ გაიცემა და ექიმი დანიშნულებას ელექტრონული ფორმით გასცემს. გარდა ამისა, მოსახლეობისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის კიდევ უფრო გაზრდის მიზნით, 11 აპრილიდან დაინერგა გენერიკული რეცეპტების სისტემა, რაც ნიშნავს იმას, რომ ექიმი დანიშნულებაში წამლის მხოლოდ გენერიკულ, ანუ საერთაშორისო დასახელებას უთითებს. აფთიაქში მისულ მომხმარებელს კი, ფარმაცევტი ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული გენერიკული მედიკამენტების „პოზიტიური სიიდან“, სამ ყველაზე იაფ მედიკამენტს სთავაზობს. ცვლილების შედეგად, მოქალაქე თავად წყვეტს, რომელი მწარმოებლის და რა ღირებულების მედიკამენტი შეიძინოს. ფარმაცევტული რეფორმა მედიკამენტებზე ჯიბიდან გადახდების შემცირებას და მაღალხარისხიან მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას ისახავს მიზნად.

ვახტანგ გომელაურმა საპოლიციო ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გამართა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა, ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრის მიზანი იყო პრემიერ-მინისტრის ინიციატივით ქვეყანაში დაწყებული მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტროში დაგეგმილი საპოლიციო ინფრასტრუქტურის მასშტაბური მშენებლობებისა და სარემონტო სამუშაოების განხილვა.

შეხვედრას მინისტრის პირველი მოადგილე – შალვა ბედოიძე და მინისტრის მოადგილეები: გიორგი ბუთხუზი, ალექსანდრე დარახველიძე და იოსებ ჭელიძე დაესწრნენ. სამუშაო ფორმატში გამართულ შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ რეგიონების პოლიციის დეპარტამენტების და ყველა იმ დანაყოფის ხელმძღვანელები, რომლებიც მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს გეგმავენ.

ვახტანგ გომელაურმა შეხვედრაზე აღნიშნა, რომ დაგეგმილია პოლიციის შენობების და ბაზების რეაბილიტაცია და ერთიან, ევროპულ სტანდარტში მოქცევა. ვახტანგ გომელაურმა ასევე ისაუბრა პრემიერ-მინისტრის ინიციატივით პოლიციელებისთვის თბილისში დაგეგმილი „პოლიციის ქალაქის“ მშენებლობის შესახებ. შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავრობასთან კოორდინაციით უკვე დაწყებული აქვს მუშაობა 1000-ბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის პროექტზე. აღნიშნული პროექტი განხორციელდება საბურთალოს რაიონში, ჯიქიას ქუჩაზე, სადაც ამ დრომდე განთავსებული იყო პოლიციის სპეცდანიშნულების ბაზა.

„მსურს, შევეხო ბატონი პრემიერის მიერ დაანონსებულ ბინათმშენებლობის თემას, ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის. მინდა, ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო ბატონ პრემიერს, სწორედ მისი ინიციატივითა და მხარდაჭერით დაიწყო ეს პროექტი და დარწმუნებული ვარ, ბოლომდე მივიყვანთ. ვიცით, რომ პირველ ეტაპზე საუბარი იყო 1000 ბინაზე. ყველა პოლიციელისთვის მნიშვნელოვანია, რომ ეს არ იქნება მხოლოდ პირველი ეტაპი, ვფიქრობთ, პროექტი შემდგომ წლებში კიდევ გაგრძელდეს“ – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა დანაყოფების ხელმძღვანელებისგან მოისმინა ის კონკრეტული საჭიროებები და საკითხები, რომელთა საფუძველზეც საპოლიციო ინფრასტრუქტურული პროექტები დამუშავდება და გარკვეულ ვადებში გაიწერება.

შინაგან საქმეთა მინისტრმა შეხვედრაზე დამატებით აღნიშნა, რომ პოლიციელებისთვის ღირსეული სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა და სოციალური გარანტიების შექმნა სამინისტროსთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. მთავრობასთან კოორდინაციით დაგეგმილი პროექტების მთავარი მიზანი კი მოსახლეობისთვის საპოლიციო მომსახურების ხარისხის და ყველა თანამშრომლისთვის სამუშაო პირობების კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესებაა.

ცხინვალის დე ფაქტო არჩევნების მეორე ტური 8 მაისს გადმოიტანეს

გაგლოევი: „რუსეთთან მიერთებაზე რეფერენდუმს ნებისმიერი პრეზიდენტი ჩაატარებს“

მარიამ მჭედლიშვილი

რუსეთის სამხედრო ინტერვენციამ უკრაინაში, იქ განვითარებულმა სისხლიანმა მოვლენებმა, რომელიც უკვე დნესტრისპირეთს მოედო, გარკვეულწილად დაჩრდილა საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში მიმდინარე მოვლენები. თბილისისთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რაც ცხინვალის რეგიონში ხდება. ცხინვალში საოკუპაციო ადმინისტრაციამ რუსეთში შესვლის პროცედურები წამოიწყო. ეს მიმდინარეობს ე. წ. არჩევნების ფონზე.

დე ფაქტო არჩევნები 8 მაისს გაიმართება

რუსეთის მიერ ოკუპირებულ და შემდეგ აღიარებულ საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში გამართულ არც ერთ არჩევნებს და მის შედეგს საერთაშორისო საზოგადოება და ოფიციალური თბილისი არ ცნობენ. საუბარია ფაქტობრივ არჩევნებზე.

ცხინვალის რეგიონში დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური ჯერ 28 აპრილს დაინიშნა, რამდენიმე პირის მიერ ამ თარიღის გასაჩივრების შემდეგ მეორე ტური 8 მაისს გადმოიტანეს. მოსარჩელეები არჩევნების ჩატარებას სამუშაო დღეს არასწორად მიიჩნევდნენ და მათი მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

მეორე ტურში მოქმედი დე ფაქტო პრეზიდენტის, ოდიოზური და რეიტინგდაწეული ანატოლი ბიბილოვის გარდა, მონაწილეობს პოლიტიკური პარტია „ნიხასის“ ლიდერი, ცხინვალის უშიშროების სამსახურის ყოფილი თანამშრომელი ალან გაგლოევი.

წინასაარჩევნო კამპანია გამოირჩეოდა რამდენიმე კანდიდატის საარჩევნო პროცესიდან ჩამოცილებით (სხვადასხვა დარღვევის საბაბით), აგრეთვე ბიბილოვის ხმაურიანი პრორუსული განცხადებებით.

საქართველოს ამ კუთხის რუსეთთან მიერთების მისწრაფება ცხინვალის მმართველებს

ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმს ავსტრიაში „ოფიციალური“ წარმომადგენელი ჰყავს

არაერთხელ გამოუხატავთ. ბიბილოვის წინასაარჩევნო გამოსვლებში სიახლე რუსეთთან მიერთების ვადების დაჩქარება იყო. საოკუპაციო რეჟიმის მეთაურმა გამოაცხადა, რომ რესპუბლიკა უახლოეს ხანში გადადგამს იურიდიულ ნაბიჯებს რუსეთთან მისაერთებლად. ბიბილოვმა აღნიშნა, რომ რუსეთში ყოფნა (მისი თქმით, რუსეთში დაბრუნება) „სამხრეთ ოსეთის“ სტრატეგიული მიზანია. განცხადებებს კონკრეტული ნაბიჯები მოჰყვა და ცხინვალის ფაქტობრივმა ცესკომ დაარეგისტრირა შესაბამისი საინიციატივო ჯგუფი. მოსახლეობაში გროვდება ხელმოწერები. ხელმოწერები ცესკოს წარედგინება, განაცხადი – უზენაეს სასამართლოს, რომლის გადაწყვეტილების შემდეგ, შესაძლებელია რეფერენდუმის ვადის განსაზღვრა. მარტში ბიბილოვი ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიასთან შერწყმაზეც ლაპარაკობდა. როგორც ჩანს, შემდეგ გაიგო, რომ იურიდიულად ეს სხვა პროცესია და ამ ეტაპზე რუსეთში ცალკე სუბიექტად ყოფნით კმაყოფილდება.

ბიბილოვის მეტოქე გაგლოევი საქართველოს ამ ნაწილის რუსეთთან შეერთების წინააღმდეგი არ არის. ბიბილოვისგან განსხვავება იმაშია, რომ გაგლოევს ამ მომენტში რუსეთის მზადყოფნა აეჭვებს. ის პროცესის დაჩქარებას არ მიესალმება.

„ისედაც რთული გეოპოლიტიკური სიტუაცია არ უნდა გავართულოთ“

გაგლოევი მეორე ტურის წინ რუსეთთან შეერთების საკითხზე კიდევ ერთხელ გამოთქვამს აზრს. მისი თქმით, ასეთი არსებითი საკითხის გადაწყვეტისას აუცილებელია ორივე მხარის ნება:

– რეფერენდუმის ჩატარების გადაწყვეტილება რუსეთთან მიერთებაზე არ შეიძლება ცალმხრივად მიიღებოდეს. უნდა გვქონდეს რუსეთის მხარდაჭერა. მთავარი ფაქტორია რუსეთის მზადყოფნა, რუსეთმა უნდა იკისროს ამაზე პასუხისმგებლობა. ჩასატარებელია წინასწარი სამუშაო, მისაღწევია შეთანხმება. ყოველი ნაბიჯი უნდა შევუთანხმოთ სტრატეგიულ პარტნიორს, რათა არ გავართულოთ ისედაც რთული გეოპოლიტიკური სიტუაცია.

გაგლოევი ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ოსების ნებაზე საუბრობს.

ალან გაგლოევი:

– არსებობს ოსი ხალხის მისწრაფება, შეუერთდეს ჩრდილოელ ძმებს რუსეთის შემადგენლობაში. სამხრეთ ოსეთის უმაღლესმა საბჭომ 1991 წლის სექტემბერში, მოქალაქეებმა კი 1992 წლის იანვრის რეფერენდუმზე კენჭი უყარეს რუსეთთან შეერთებას. საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით რეფერენდუმი უზადოდ ჩატარდა. საქართველო მაშინ გაეროს წევრი და საერთაშორისოდ აღიარებული ქვეყანა არ იყო. ამ დოკუმენტების საფუძველზე რუსეთმა აღიარა ჩვენი დამოუკიდებლობა. თუ საჭიროა კიდევ ერთი რეფერენდუმი, მას ჩაატარებს ნებისმიერი არჩეული პრეზიდენტი, იმიტომ, რომ ასეთია ჩვენი ხალხის ნება.

გეოპოლიტიკური სირთულეების მიუხედავად, ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმი განაგრძობს თავის ე. წ. საგარეო პოლიტიკას ევროპაში. ამაში, მას, რა უცნაურადაც არ უნდა გამოიყურებოდეს, ზოგიერთი ევროპელი ეხმარება.

საოკუპაციო რეჟიმის ინტერესებს ავსტრიელი პოპელი იცავს?

ცხინვალის საოკუპაციო ადმინისტრაციის დე ფაქტო საგარეო სამინისტროს ბრძანებით, ავსტრიაში საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლად დაინიშნა პატრიკ პოპელი, რომელიც ვენის სუვოროვის სახელობის ინსტიტუტის გენერალური მდივანია. როგორც ირკვევა, ეს ადამიანი მარტო სუვოროვის სახელის უკვდავყოფას არ ეწევა. ის ცხინვალის გარდა, აფხაზეთსა და დონბასსაც თანაუგრძნობს და რუსეთის სიმხეცეს ამართლებს. საკუთარ სამშობლოში, სადაც მას ოფიციალური დიპლომატიური უფლებამოსილება არა აქვს, საოკუპაციო რეჟიმის მიერ მინიჭებული ყალბი, არალეგიტიმური სტატუსით ეწევა საქართველოს საწინააღმდეგო საქმიანობას.

ფაქტობრივი საგარეო მინისტრი მედოევი პოპერს სუბიექტურ დახასიათებას აძლევს.

მედოევი:

– პოპელი ახდენს რუსი მხედართმთავრის, სუვოროვის სახელის პოპულარიზაციას, რომელმაც 1799 წელს განახორციელა უპრეცედენტო გადასვლა ალპებზე და ავსტრიელებში კარგი სახელი მოიხვეჭა. პოპერი ანტიფაშისტია. იგი არის პოზიტიური პროცესების – დონბასის გათავისუფლების, ყირიმის ომის აქტიური მონაწილე და მომხრე, აფხაზეთის მეგობარი. ახლა ის გახდა სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ავსტრიაში. იმედი გვაქვს, რომ იგი ნაყოფიერად იმუშავებს ოსეთის ისტორიისა და კულტურის გაშუქებისას ევროპის ქვეყნებში სამხრეთ ოსეთის სხვა წარმომადგენლებთან ერთად.

როგორც ჩანს, ცხინვალის ამგვარ გამოხდომებს საპროტესტო ნოტები არ შველის. იმედია, რომ გარდატეხა გეოპოლიტიკური ძვრებით მაინც მოხდება.

გიგი უგულავა: „არ ვითხოვთ, რომ შეიყვაროთ სააკაშვილი და ხვალ ხელისუფლებაში დასვათ“

– არ ვითხოვთ, რომ შეიყვაროთ სააკაშვილი და ის ხვალ ხელისუფლებაში დასვათ, ეს არჩევნების და ხალხის გადასაწყვეტია, მაგრამ მას აქვს სიცოცხლის, საქმიანობის უფლება.

ამის შესახებ ოპოზიციონერმა პოლიტიკოსმა გიგი უგულავამ ტელეკომპანია „პალიტრანიუსის“ გადაცემა „ნიუსრუმში“ განაცხადა, როდესაც ისაუბრა საკუთარ ინიციატივაზე, რომ ყოველი სატელევიზიო ჩართვა და პარტიული ბრიფინგი რუსთავის ციხის ტერიტორიიდან გაიმართოს.

როგორც უგულავამ განაცხადა, როდესაც სააკაშვილს „თვალსა და ხელს შუა კლავენ, შერიგებაზე ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი და ეკონომიკაზე საუბარი არაადეკვატურია“.

– შეიძლება ვისაუბროთ ეკონომიკაზეც, პოლიტიკაზეც და შეიძლება წინაც წავიდეთ, მაგრამ როგორც კი ამის განხორციელების კონტურებზე დავიწყებთ ლაპარაკს, აღმოვაჩენთ, რომ ქვიშაზე ვაშენებთ შენობას ფუნდამენტის გარეშე. თუ სახურავს ააშენებ, არ იქნება კედლები და ამ კედლებს ფუნდამენტი არ ექნება, შენობა პირველივე ქარში ან წვიმაში ჩამოიშლება.

ზუსტად ასეთ ვითარებაში ვართ. სააკაშვილის საკითხი არის ფუძემდებლური საკითხი. 90-იან წლებში შევქმენით პრობლემები, რომელთა მოგვარებას 10 წელი დასჭირდა. როდესაც თვალსა და ხელს შუა კლავენ პრეზიდენტს, რომელსაც ამდენი მემკვიდრეობა აქვს და ამდენი მხარდამჭერი ჰყავს, შერიგებაზე ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი, ასევე ეკონომიკაზე საუბარი, სრულიად არაადეკვატური გახდება.

როდესაც გრადუსი მატულობს და უკიდურეს პოლარიზაციამდე მივდივართ, ეს ურტყამს ეკონომიკას, ქვეყნის განვითარებას. ამიტომ ნუ მოვიტყუებთ თავს. ყველაფერი, რაზეც შეიძლება ვისაუბროთ, ფუძემდებლური საკითხებია.

დღეს ორი ასეთი საკითხია, რომელიც საბოლოოდ ერთ საკითხზე დაიყვანება, ეს არის სტრატეგიული ურთიერთობები უკრაინასთან. ნუ მოვიტყუებთ თავს და სააკაშვილი არის ფაქტორი საქართველო-უკრაინას შორის ურთიერთობაში. ვიღაცას მოსწონს ან არ მოსწონს, ვიღაც ფიქრობს, რომ პოზიტიურ როლს თამაშობს, ვიღაც ფიქრობს, რომ ნეგატიურს, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს. ის ფაქტორია და თუ სირაქლემა არ ხარ, ამ ფაქტორს ანგარიში უნდა გაუწიო.

როდესაც სადღაც საუბრობ ეკონომიკაზე და დგახარ ციხესთან, ამბობ, რომ სააკაშვილი პოლიტიკური პატიმარია, სინდისის პატიმარია, ეს ადამიანი გეგმაზომიერად, ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყავთ სიკვდილისკენ, ის პუტინის პატიმარია და უნდა გათავისუფლდეს. ასე ფიქრობს მოსახლეობის ნახევარზე მეტი და ჩვენ ვალდებულებაა, მოქალაქეებს ავუხსნათ, რომ ასე ვერ განვითარდები და თუ გინდა, ქვიშაზე რამე ააშენო, მინიმუმ, ფუნდამენტი უნდა გააკეთო.

ფუნდამენტი კი არის უსაფრთხოება, რაც უკრაინასთანაა დაკავშირებული. უკრაინასთან მიმართებით ორი ფუნდამენტური საკითხია – სანქციები, რასაც უკრაინა მტკივნეულად აღიქვამს, როდესაც საქართველო ღალატობს. ხოლო მეორე, სააკაშვილის საკითხი – აქაც არ უნდა გვქონდეს ილუზიები. ეს საკითხი მოსაგვარებელია.

სააკაშვილი უკრაინაში იმ მმართველი გუნდის აქტიური წევრია, რომელიც დღეს ცივილიზაციურ ომს აწარმოებს მთელი ცივილიზებული მსოფლიოს სახელით.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, რასაც „ქართული ოცნებისგან“ ვისმენთ, არაადეკვატურია. ამიტომ ეს საკითხი უნდა გადაწყდეს და სანამ არ გადაწყდება, არ უნდა დავიღალოთ. საზოგადოებას უნდა ავუხსნა – არ ვითხოვთ, რომ შეიყვაროთ სააკაშვილი და ის ხვალ ხელისუფლებაში დასვათ, ეს არჩევნების და ხალხის გადასაწყვეტია, მაგრამ მას აქვს სიცოცხლის უფლება, საქმიანობის უფლება. რასაც ვხედავთ, მით უმეტეს, დღევანდელი ომის ფონზე, სრული უსინდისობაა, – განაცხადა გიგი უგულავამ.

მან ასევე შეაფასა აირაის კვლევის შედეგები, სადაც მოწონების რეიტინგში მოწინავე ადგილს „ქართული ოცნების“ ლიდერებიც იკავებენ. უგულავას თქმით, მსგავს კვლევებში საზოგადოების განწყობის ყველაზე სწორი ინდიკატორი არის კითხვა – სწორი მიმართულებით ვითარდება თუ არა ქვეყანა.

– ასეთ კვლევებში ყველაზე თავისუფალი შეკითხვა, რაც საზოგადოების რეალურ ინდიკატორს განასახიერებს, ეს არის – სწორი მიმართულებით ვითარდება თუ არა ქვეყანა. ეს არის ერთი შეხედვით უმტკივნეულო შეკითხვა. ამიტომ საზოგადოების ნებისმიერი წარმომადგენელი, ფობიები აქვს მას თუ არა, ხელისუფლება მოსწონს თუ არა, ადეკვატურად, ღიად და გულწრფელად პასუხობს.

ამ კითხვაზე 70% პასუხობს, რომ არასწორი მიმართულებით ვითარდება. ეს არის ყველაზე სწორი ინდიკატორი საზოგადოებრივი განწყობილების. თუ ეს მაჩვენებელი იზრდება დადებითი მიმართულებით, მაშინ, ე.ი. ხელისუფლების მიმართ კეთილგანწყობა იზრდება, თუ არასწორი მიმართულებით მატულობს ეს მაჩვენებელი, მაშინ ხელისუფლების საწინააღმდეგო განწყობილებები ვითარდება, – განაცხადა გიგი უგულავამ.

ანდრეი კასიანოვი: „ჩვენ გაკვირვებით ვუყურებთ საქართველოში დისკუსიას მეორე ფრონტზე“

საქართველოში უკრაინის საქმეთა დროებითი რწმუნებულის, ანდრეი კასიანოვის განცხადებით, უკრაინა გაკვირვებულია მეორე ფრონტის გახსნასა და ომის პარტიის შესახებ

საქართველოში მიმდინარე შიდა დისკუსიებით.

როგორც მან ჟურნალისტებს ალექსეი არესტოვიჩის განცხადების შეფასებისას განუცხადა, უკრაინაში 24 თებერვლის შემდეგ მხოლოდ ერთი – გამარჯვების პარტია არსებობს.

– ჩვენ გაკვირვებით ვუყურებთ საქართველოში შიდა დისკუსიებს, რომლებიც ეხება ომის პარტიებს და მეორე ფრონტის გახსნას. ჩვენ გვიკვირს, ვინაიდან უკრაინამ არ დაიწყო ომი რუსეთის ფედერაციასთან, ჩვენ თავს დაგვესხა რუსეთის ფედერაცია. გვიკვირს იმიტომ, რომ უკრაინაში 24 თებერვლის შემდეგ სხვა პარტია არ არსებობს, არსებობს მხოლოდ გამარჯვების პარტია. ამას ყოველდღე გვიჩვენებს უკრაინის შეიარაღებული ძალები, უკრაინის რადა, პრეზიდენტი, – განაცხადა კასიანოვმა.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც კასიანოვმა ისაუბრა, შეეხება გავრცელებულ აუდიოჩანაწერს ბიძინა ივანიშვილსა და რუს ოლიგარქ ევტუშენკოვს შორის.

როგორც მან აღნიშნა, უკრაინული მხარე ოფიციალურ განცხადებებს და ქმედებებს შეაფასებს და არა – საუბრის შინაარსს.

ამასთან, მისივე განცხადებით, უკრაინა მიესალმება საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოზიციას, რომლის თანახმადაც, საქართველოს ტერიტორია არ შეიძლება იყოს გამოყენებული ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ სანქციების გვერდის ავლისთვის.

– ჩვენ შევაფასებთ ოფიციალურ განცხადებებს და უფრო კარგად შევაფასებთ კონკრეტულ ქმედებებს. უკრაინა მიესალმება საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოზიციას, რომელიც მან გამოთქვა. მან განაცხადა, რომ საქართველოს ტერიტორია არ შეიძლება იყოს გამოყენებული ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ სანქციების გვერდის ავლის მიზნით. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ, რა თქმა უნდა, კონტაქტები გვაქვს ევროკავშირის მისიასთან და შეერთებული შტატების საელჩოსთან, – განაცხადა კასიანოვმა.

შემზარავი დანაშაული ვაზისუბანში

შვილმა მშობლები მოკლა და მერე ცეცხლი წაუკიდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ვაზისუბანში ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში 27 აპრილს გაჩენილ ხანძარს წინ მკვლელობა უძღოდა.

როგორც უწყების განცხადებაშია ნათქვამი, 30 წლის პირმა მძინარე მშობლები ჯერ მოკლა, შემდეგ კი, კვალის დაფარვის მიზნით, სახლს ცეცხლი წაუკიდა.

შსს-ს ცნობით, ცოლ-ქმრის ცხედრებს, რომლებიც ხანძრის შემდეგ იპოვეს, ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობები აღენიშნებათ.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს და ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1992 წელს დაბადებული გ.ბ. ოჯახის ორი ან მეტი წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

2022 წლის 27 აპრილს ისანი-სამგორის მთავარ სამმართველოში შევიდა შეტყობინება, რომ თბილისში, ვაზისუბნის მე-4 მიკრორაიონში, ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში ხანძარი იყო. ადგილზე მისულ სამაშველო სამსახურის თანამშრომლებს ბინის კარი შიგნიდან ურდულით ჩაკეტილი დახვდათ. ბინაში შეღწევის და ხანძრის ლიკვიდაციის შემდეგ, ნანახი იქნა 1964 წელს დაბადებული ზ.ბ.-ის და მისი მეუღლის – 1967 წელს დაბადებული ლ.თ.-ის დამწვარი ცხედრები, რომლებსაც თავის არეში ცეცხლნასროლი ჭრილობები აღენიშნებოდათ.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა საცხოვრებელ ბინაში მძინარე მშობლებს – ზ.ბ.-ს და ლ.თ.-ს ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით თავის არეში დაზიანებები მიაყენა, რის შედეგადაც ორივე მათგანი ადგილზე გარდაიცვალა.

გ.ბ.-მ, ჩადენილი დანაშაულის დაფარვის მიზნით, ყაჩაღობის ინსცენირება მოახდინა, კერძოდ: კარადებიდან გადმოყარა ტანსაცმელი და სხვადასხვა ნივთი, მოძებნა მშობლების კუთვნილი თანხა და ოქროს სამკაულები, შემდეგ ბინაში განზრახ გააჩინა ხანძარი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დანაშაულის ჩადენის იარაღები, ბინიდან წაღებული თანხა და ოქროს სამკაულები ამოღებულია ნივთმტკიცებად.

ოჯახის ორი ან მეტი წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 11 პრიმა-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით და 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს“ – ნათქვამია განცხადებაში.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური: „დატაკომის სახელით მიღებულ შეტყობინებებში ლინკი არ გახსნათ“

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური განცხადებას ავრცელებს.

როგორც უწყებაში განმარტავენ, 2022 წლის 27 აპრილს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, როგორც სატელეფონო კონსულტაციის ფარგლებში, ისე ელექტრონული ფოსტისა და სოციალური ქსელის მეშვეობით შეტყობინებით მომართა არაერთმა პირმა, რომლებიც უთითებენ იდენტური შინაარსის გარემოებებზე.

კერძოდ, მათ დატაკომის სახელით მიიღეს მოკლე ტექსტური შეტყობინებები, სადაც მითითებულია მათი სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ბმული (ე.წ. „ლინკი“).

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური მოუწოდებს ყველა პირს, თავი შეიკავონ დატაკომის სახელით მსგავსი შინაარსის მიღებულ შეტყობინებებში მითითებული არასანდო ბმულის (ე.წ. „ლინკის“) გახსნისაგან, რადგან ბმული შეიძლება შეიცავდეს ვირუსს ან მავნე პროგრამებს, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს თქვენს ელექტრონულ მოწყობილობებში შენახულ პერსონალურ მონაცემებზე უკანონო წვდომა.

„მნიშვნელოვანია, თქვენი პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დაიცვათ კიბერუსაფრთხოების წესები და თავი შეიკავოთ არასანდო და არაიდენტიფიცირებული შეტყობინებებით მიღებული ბმულების (ე.წ. „ლინკები“) გახსნისაგან.

გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული ფაქტი შესაძლოა შეიცავდეს დანაშაულის ნიშნებს, 2022 წლის 27 აპრილს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ სამსახურში შემოსული შეტყობინებები წარმოდგენილ თანდართულ ფოტომასალასთან ერთად შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაეგზავნა შესაბამის საგამოძიებო სამსახურს“ – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ძვირფასი ლითონის ნაკეთობების კონტრაბანდის ფაქტზე ერთი პირი პასუხისგებაში მისცეს

საგამოძიებო სამსახურმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ძვირფასი ლითონის ნაკეთობების კონტრაბანდის ფაქტზე ერთი პირი პასუხისგებაში მისცა.

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქემ, საბაჟო გამშვები პუნქტი „სადახლო საავტომობილო“-ს გავლით, სომხეთიდან საქართველოში საბაჟო კონტროლისაგან მალულად გადმოიტანა 110.027 ლარის საბაჟო ღირებულების 631 გრამი პალადიუმისგან დამზადებული ნაკეთობები.

საბაჟო წესის დარღვევით შემოტანილი საქონელი, სასამართლოს შესაბამისი გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, ჩამორთმეულ იქნა სახელმწიფოს სასარგებლოდ.

თბილისში მომხდარი მკვლელობის და დაჭრის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე, საცხოვრებელ კომპლექს „დირსთან“ მომხდარი მკვლელობისა და დაჭრის ფაქტზე სამართალდამცავებმა 38 წლის მამაკაცი, გრიგოლ დოჩია დააკავეს.

აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, დაკავებულმა პირმა ცივი იარაღით ჭრილობა 4 პირს, მათ შორის, არასრულწლოვანს მიაყენა, რის შემდეგადაც მიიმალა. მიღებული ჭრილობების შედეგად ერთი პირი გარდაიცვალა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განზრახ მკვლელობის და ორი ან მეტი პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, 1984 წელს დაბადებული გ.დ. დააკავეს.

დანაშაული 7-დან 20 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 27 აპრილს, თბილისში, საცხოვრებელ კომპლექს „დირსში“, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღით დაჭრა 4 ადამიანი, მათ შორის ერთი არასრულწლოვანი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

ოთხივე დაჭრილი სასწრაფო სამედიცინო დახმარების თანამშრომლებმა საავადმყოფოში გადაიყვანეს. მიღებული დაზიანებების შედეგად, ერთ-ერთი დაჭრილი – 1979 წელს დაბადებული გ.ს. საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა დანაშაულში ბრალდებული პირი მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით და 19-109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას და ორი ან მეტი პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს“, – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

2014 წელს ქალის თვითმკვლელობის გამო 3 პირს ბრალდება წარუდგინეს

საქართველოს პროკურატურამ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტზე, სამ პირს ბრალდება წარუდგინა.

ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

პროკურატურის ინფორმაციით, საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ნ.გ.-მ, ა.გ.-მ და გ.ა.-მ, სხვა პირებთან ერთად, გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის მოტივით, ხ.ჯ.-ს ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება და სოფლის მოსახლეობის წინაშე დამცირება გადაწყვიტეს.

„2014 წლის 16 სექტემბერს, საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოში ბრალდებულებმა ხ.ჯ. ავტომანქანიდან ძალის გამოყენებით გადმოიყვანეს და სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, რის შემდგომაც მოსახლეობის წინაშე დამცირების განზრახვით, ბრალდებულებმა დაზარალებულს თავისუფლება აღუკვეთეს, მისი ნების საწინააღმდეგოდ ავტომანქანაში ჩასვეს და სოფლის ცენტრში მიიყვანეს.

სოფლის მოსახლეობის თანდასწრებით, დამამცირებელი სიტყვებით მოიხსენიებდნენ და აცხადებდნენ, რომ ქალისთვის შეუფერებელი საქციელის გამო, იგი უნდა დასჯილიყო. ისინი მოქმედებდნენ გენდერული დისკრიმინაციის ნიშნით და მიაჩნდათ, რომ დაზარალებულზე, როგორც ქალის ნებაზე ზემოქმედების და მისი ბედის განკარგვის უფლება ჰქონდათ.

ბრალდებულების და ჯგუფის სხვა წევრების ქმედების შედეგად, 2014 წლის 18 სექტემბერს ხ.ჯ.-მ თავი მოიკლა.

სამივე პირს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ და მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ) და 144-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით (დამამცირებელი მოპყრობა, ჩადენილი ჯგუფურად და სქესის ნიშნით ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევით) წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად შვიდიდან ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით, თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს“ – ნათქვამია პროკურატურის ინფორმაციაში.

„დირექტორები 5-10-ჯერ იზრდიდნენ ხელფასებს, ექიმებისა თუ ექთნების დანამატების ხარჯზე“

– სამწუხაროდ, გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც კოვიდპანდემიის დროს, ექიმებსა და ექთნებს მათთვის დარიცხული დანამატი არ მიუღიათ. თანაც, საუბარია თანხაზე, რომელსაც სახელმწიფო, კონკრეტული მიზნობრიობით, რიცხავდა და, სამწუხაროდ, ბენეფიციარებამდე არ მიდიოდა.

ამის შესახებ ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ჟურნალისტებთან განაცხადა.

მისი თქმით, სამწუხაროდ, რამდენიმე კლინიკაში იყო შემთხვევა, როდესაც დირექტორი და მისი მოადგილეები 5-10-ჯერ იზრდიდნენ ხელფასებს, ექიმებისა თუ ექთნების დანამატებისა და სახელმწიფოს ხარჯზე.

მინისტრმა კოვიდკლინიკების პანდემიამდე არსებულ რეჟიმში დაბრუნების საკითხზეც ისაუბრა. მისი თქმით, გაუგებარია, რატომ აპელირებენ აღნიშნული სამედიცინო დაწესებულებები ვადებზე, თითქოს, მათ მხოლოდ 5 დღე ჰქონდათ ძველ სისტემაზე დასაბრუნებლად.

– 2022 წლის იანვრიდან მოყოლებული, აქტიურად ვაკვირდებოდით დატვირთულობას კლინიკებში. აღმოჩნდა, რომ ხშირად, პაციენტთა მიღების თუ გაწერის მკაცრად გაწერილი კრიტერიუმები არ სრულდება და ხელოვნურად ხდებოდა მათი რაოდენობის ზრდა. ზუსტად ეს იყო საფუძველი, რომ არ მოხდა კლინიკების გადავსება და პიკურ პერიოდში საშუალოდ, 6.000 პაციენტი იყო სტაციონარში. ის 9.000 საწოლი, რაც მე იანვრის დასაწყისში დამხვდა, მით უმეტეს, არაპიკურ პერიოდში, საერთოდ არ იყო საჭირო.

1.700 საწოლი პირველივე კვირაში გავაუქმე. ვსაუბრობ ისეთ საწოლებზე, რომლებიც ცარიელი იყო და რომლებშიც სახელმწიფო, 2 წლის განმავლობაში, არცთუ ისე ცოტა თანხას, თითოში, დაახლოებით, 180 ლარს იხდიდა, დატვირთულობა კი 60% იყო. ანუ, 2 წლის განმავლობაში, მობილიზებული საწოლებიდან, მინიმუმ, 40%-ში ცარიელ საწოლებში იხდიდა. ზუსტად ეს თანხა უნდა ყოფილიყო საკმარისი, როდესაც შეტყობინებებს მივცემდით და ფაქტობრივ ანაზღაურებაზე გადავიყვანდით კლინიკებს.

ამ ორი წლის განმავლობაში, ჯამში, სულ კლინიკებისთვის 1 მილიარდი ლარია გადახდილი და კლინიკებს უნდა ჰქონოდათ იმის შესაძლებლობა, დროულად გადაწყობილიყვნენ ჩვეულ სამუშაო რეჟიმზე, თუ ვინმე დანაშაულს ჩადიოდა, აუცილებლად დადგება მათი პასუხისმგებლობის საკითხი.

აქ საუბარია კონკრეტულ კლინიკებზე. შეუძლებელი და პრინციპულად მიუღებელია, სახელმწიფო თავისი მოქალაქეებისა და ბიუჯეტის ხარჯზე კონკრეტულ კლინიკებს ამდიდრებდეს, ან ეს კლინიკები ამით „შოულობდნენ“ ფულს, – განაცხადა ზურაბ აზარაშვილმა.

„მანქანისკენ წავიდა და შეუვარდა“

კასპში 80 წლის ქალი ავარიით დაიღუპა

კასპში ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა – მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს დასუფთავების სამსახურის მანქანა 80 წელს გადაცილებულ ქალს დაეჯახა, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა.

– ალბათ შეუძლოდ გახდა, უფრო მანქანისკენ წავიდა და შეუვარდა. ძალიან ნელა მოძრაობდა ავტომობილი, რასაც ვუყურებდით, მძღოლის ბრალი არ იყო, – ამბობს თვითმხილველი.

შსს-ს ინფორმაციით, მომხდარ ფაქტზე გამოძიება ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის მუხლით დაიწყეს.

ბენ უოლესი: „პუტინი ეთნიკური ნაციონალისტია“

დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა ბენ უოლესმა განაცხადა, რომ გაერთიანებული სამეფო უკრაინას მიაწვდის იარაღს, რომელსაც შავ ზღვაში რუსეთის საზღვაო ძალებზე დარტყმა შეუძლია.

– ჩვენ უკვე ვთქვით, რომ უკრაინას ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტებს მივაწვდით. წარმოუდგენლად მნიშვნელოვანია, რომ მარცვლეული, რომელიც ყველა ჩვენგანზე მოქმედებს, უკრაინიდან გამოვიდეს. უკრაინა ახლა ვერ აკონტროლებს შავ ზღვას, – განაცხადა მან.

ბენ უოლესმა პუტინს „ეთნიკური ნაციონალისტი“ უწოდა და რუსეთის ქმედებები უკრაინაში სიმსივნეს შეადარა.

– პუტინი არის „ეთნიკური ნაციონალისტი“ და სურს „სიმსივნურად გაიზარდოს უკრაინაში“. ის პოტენციურად ზუსტად ისევე გრძნობს თავს, როგორც ნაცისტები მეორე მსოფლიო ომის დროს – ის ფიქრობს, რომ ყველა რუსულენოვან ადამიანზე აქვთ საკუთრების უფლება, – განაცხადა მან.

სადესანტო გემ „სარატოვისა“ და კრეისერ „მოსკვას“ დაკარგვის მიუხედავად, რუსეთის შავი ზღვის ფლოტი ინარჩუნებს უკრაინულ და სანაპირო ობიექტებზე დარტყმის შესაძლებლობას.

ამის შესახებ გაერთიანებული სამეფოს დაზვერვის განახლებულ ინფორმაციაშია აღნიშნული.

უწყებაში აცხადებენ, რომ შავ ზღვაში ამჟამად რუსეთის საზღვაო ძალების დაახლოებით 20 ხომალდია განლაგებული, მათ შორის, წყალქვეშა ნავები.

„ბოსფორის სრუტე რჩება დაკეტილი ყველა არათურქული ხომალდისთვის, რის გამოც რუსეთს არ შეუძლია ჩაანაცვლოს დაკარგული კრეისერი „მოსკვა“ შავ ზღვაში,“ – აღნიშნულია ინფორმაციაში.

სტოლტენბერგი: „ფინეთსა და შვედეთს ნატო-ში გაშლილი ხელით შევხვდებით“

– ფინეთსა და შვედეთს ნატო-ში გაშლილი ხელით შევხვდებით, თუ ისინი განაცხადს გააკეთებენ.

ამის შესახებ ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ბრიუსელში ევროპარლამენტის პრეზიდენტთან რობერტა მეცოლასთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ამასთან, სტოლტენბერგმა აღნიშნა, რომ თავად ფინეთისა და შვედეთის გადასაწყვეტია, შეიტანენ თუ არა განაცხადს ნატო-ში წევრობაზე.

– თუმცა თუ ამ გადაწყვეტილებას მიიღებენ, ჩვენ მათ ნატო-ში გაშლილი ხელით შევხვდებით. ფინეთი და შვედეთი ჩვენი უახლოესი პარტნიორები არიან, – განაცხადა სტოლტენბერგმა.

რუსულმა ძალებმა ზაპოროჟიეზე სარაკეტო დარტყმა განახორციელეს

რუსმა ოკუპანტებმა ზაპოროჟიეს წინააღმდეგ სარაკეტო შეტევა განახორციელეს.

უკრაინული მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ ზაპოროჟიეს ოლქის სამხედრო ადმინისტრაცია იუწყება.

მათივე ცნობით, ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, დაშავებულია სამი ადამიანი, მათ შორის, ერთი ბავშვი.

„წინასწარი ინფორმაციით, დაზიანებულია ორი სახლი. დარტყმა რუსული ავიაციის მიერ განხორციელდა, გამოყენებული იქნა იქს-55 ტიპის „ჰაერი-მიწა კლასის რაკეტები“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

ზაპოროჟიეს ოლქის სამხედრო ადმინისტრაციის ცნობით, დეტალები ზუსტდება და დამატებითი ინფორმაცია მოგვიანებით გახდება ცნობილი.

ოკუპანტები მზად არიან, უკრაინას შავი ზღვიდან დაარტყან

– შავ ზღვაში რუსული გემები მზადყოფნაში რჩებიან უკრაინის წინააღმდეგ სარაკეტო დარტყმის განსახორციელებლად.

ამის შესახებ „სამხრეთის“ ოპერატიული სარდლობის პრესსპიკერმა ვლადისლავ ნაზაროვმა განაცხადა.

– შავი ზღვის ოპერაციულ ზონაში რუსული ფლოტის საზღვაო დაჯგუფება წყალქვეშა ნავებით მზადაა უკრაინის წინააღმდეგ სარაკეტო დარტყმისთვის, – აღნიშნა ნაზაროვმა.

მისი თქმით, შავი ზღვის ოპერაციულ ზონაში რუსული ფლოტის გემების დაჯგუფებაში წყალქვეშა ნავებიც შედის.

კანადის პარლამენტმა უკრაინაში რუსეთის თავდასხმებს გენოციდი უწოდა

კანადის პარლამენტის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი გადაწყვეტილებას უკრაინაში რუსეთის თავდასხმების გენოციდად აღიარების შესახებ.

კანადელი დეპუტატების განცხადებით, არსებობს საკმარისი მტკიცებულება მოსკოვის მიერ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი „სისტემური და მასობრივი ომის დანაშაულების შესახებ.“

კანადის თემთა პალატის შუამდგომლობაში ნათქვამია, რომ რუსეთის სამხედრო დანაშაულები მოიცავს მასობრივ სისასტიკეს, მშვიდობიანი მოქალაქეების განზრახ მკვლელობებს, ცხედრების შებღალვას, უკრაინელი ბავშვების იძულებით გადაყვანას, წამებას, ფიზიკურ დაზიანებებს, ფსიქიკურ დაზიანებებსა და გაუპატიურებებს.

მიმდინარე თვის დასაწყისში კანადის პრემიერ-მინისტრმა ჯასტინ ტრუდომ განაცხადა, რომ „აბსოლუტურად სწორია“, უკრაინაში რუსეთის ქმედებებს უფრო და უფრო მეტი ადამიანი უწოდებდეს გენოციდს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

გორის სოფელ მარანაში საცხოვრებელი სახლი დაიწვა

ხანძარი იყო გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მარანაში.

ერთსართულიან საცხოვრებელ სახლს ცეცხლი გაუჩნდა.

მთლიანად დაიწვა ბინა, რომელშიც მრავალშვილიანი ოჯახი ცხოვრობდა.

წინასწარი ინფორმაციით, ცეცხლი ბუნებრივი აირის სისტემიდან გაჩნდა. მიმდინარეობს გამოძიება.

ოჯახი დახმარებას ითხოვს.

ტვ მონიტორინგისთვის მიცემულ ინტერვიუში ჩიხლაძეების ოჯახის წარმომადგენელი აცხადებს, რომ დაიწვა ბინაში შენახული ფულიც. ასევე მობილური ტელეფონები და სხვა პირველადი საყოფაცხოვრებო ნივთები.

უეფა და ევროპოლი ერთობლივ ბრძოლას იწყებენ

ევროკავშირის სამართალდამცავი სააგენტოს ჰააგის ოფისმა ევროპოლისა და უეფას ერთობლივ კონფერენციას უმასპინძლა. კონფერენციამ ყველა დაინტერესებული მხარის 100-ზე მეტ წარმომადგენელს, სპორტში კორუფციასთან და გარიგებულ მატჩებთან დაკავშირებული საქმეების გამოძიებისა და თანამშრომლობის ახალი გზების მოსაძიებლად, პირველად მოუყარა თავი.

კონფერენციას ონლაინ ესწრებოდა უეფას 49 წევრი ქვეყნის ფედერაციის წარმომადგენელი, მათ შორის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპორტული სამართლიანობის სამსახურის მენეჯერი ვახტანგ ბზიკაძე.

ბურკარდ მული, ევროპის ფინანსური და ეკონომიკური დანაშაულის ცენტრის ხელმძღვანელი:

– რაც შეეხება უზარმაზარ მოგებას, რომელიც განპირობებულია „არაპროგნოზირებადის პროგნოზირებადად გადაქცევით“, ჩვენ ვხედავთ გარიგებული მატჩებისა და საეჭვო ანგარიშების შემთხვევების ზრდას. სამართალდამცავებსა და სპორტულ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ფეხბურთში კორუფციის აღმოსაჩენად და გამოსაძიებლად, არამედ მსგავსი თაღლითური ქმედებების საწყის ეტაპზევე შესაჩერებლად.

ანგელოს რიგოპულოსი, უეფას სპორტული სამართლიანობისა და რეგულირების სამსახურის მმართველმა დირექტორი:

– ევროპოლისა და უეფას ეს პირველი ერთობლივი საერთაშორისო კონფერენცია მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია გარიგებული მატჩების წინააღმდეგ ბრძოლაში და წარმოადგენს ძლიერ სიგნალს, რომ 2-ვე ორგანიზაცია მზადაა, საკუთარი ძალები გააერთიანოს და ყველაფერი გააკეთოს ამ „ფენომენის“ მინიმიზაციისთვის.

ექსპერტთა საბჭომ ფეხბურთში სპორტული სამართლიანობის დაცვისა და ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლის არსებული და სამომავლო საფრთხეებიც გააანალიზა.

ესპანეთის, იტალიისა, ირლანდიის და მოლდოვის საუკეთესო პრაქტიკებზე დაყრდნობით, ასევე განიხილეს სამართალდამცველებისა და სპორტული სამართლიანობის ოფიცერთა ოპერატიული თანამშრომლობის შესაძლებლობა, საეჭვო ფსონების ადრეულ ეტაპებზე გამოსავლენად.

ლივერპულმა ფინალს გახედა

ლივერპული-ვილიარეალი 2:0

ლივერპული. ენფილდი

1:0 ესპინოსა (53სკ), 2:0 მანე (55)

ლივერპული წყვილის უდავო ფავორიტად მიიჩნეოდა და პირველმა მატჩმა სრულად დაადასტურა. მთელი თამაში მერსისაიდელთა კარნახით მიდიოდა და უფრო დიდი ანგარიშით რომ ვერ მოიგო, ეს უფრო საკუთარ თავს უნდა დააბრალონ, ვიდრე ვილიარეალის დაცვას.

დებიუტში 2 კარგი მომენტი სადიო მანეს ჰქონდა, მაგრამ უფრო სახიფათო ტიაგო ალკანტარას დარტყმული იყო, რომელიც ძელისა და ხარიხის გადაბმას მოხვდა.

მოკლედ, პირველ ტაიმში ვილიარეალმა ლივერპულელთა დაწოლას გაუძლო, მაგრამ მე-2 ტაიმის სტარტზე...

მერსისაიდელთა პირველი გოლი მსაჯმა გააუქმა. შემდეგ საქმეში ლივერპულის კაპიტანი ჯორდან ჰენდერსონი ჩაერთო, რომლის ჩაწოდების შემდეგ ბურთმა ესტუპინიანს გაჰკრა, მიმართულება იცვალა და რულის კარში ჩაეშვა.

ესპანელები ჯერ გონზე არ იყვნენ მოსულნი, რომ მანემ თავისი მაინც გაიტანა. ახლა სენეგალელს ჩემპიონთა ლიგის ერთ ტურნირში 14 გოლი მოუგროვდა, რაც აფრიკელ ფეხბურთელთაგან მხოლოდ დიდიე დროგბას გაუკეთებია.

საქმე გაკეთებული იყო. შედეგად, ლივერპულმა დინჯად განაგრძო თამაში, მაგრამ დაწოლას აგრძელებდა და მეტოქეს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა.

საბოლოოდ, ლივერპულმა 2:0 მოიგო. ამასთან ისე, რომ მათ მეკარეს, ფაქტობრივად, საქმე არ ჰქონია.

საპასუხო მატჩში ვილიარეალს გარისკვა მოუწევს, რადგან 2-ბურთიანი დეფიციტი აქვს აღმოსაფხვრელი. ეს კი, მათ წისქვილზე წყალს ნამდვილად არ ასხავს. ჯერ ფინალთან ახლოს ლივერპულია.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი– ტიაგო ალკანტარა

ესპანელმა შესანიშნავი მატჩი ჩაატარა. თამაშის მიმდინარეობიდან გამომდინარე ბურთი მუდმივად მის გვერდით იყო. დაცვით ფუნქციებსაც ასრულებდა და თანაგუნდელების შეტევებს იწყებდა. ის იყო ლივერპულის შეტევების გეზის მიმცემი და დირიჟორი.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ზუმბა: „ჩვენი პირველი მტერი გაუნათლებლობაა“

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტები, აუცილებლად ტურიზმი მიბმული ხელოვნებასთან, კულტურასთან, კულინარიასთან, ტრადიციებთან, კინო ინდუსტრიასთან. მოვაწყოთ სველი წერტილები და გამოვიყენოთ საოჯახო სასტუმროებად ის დაკეტილი, მეორე სართულები რომ გვაქვს მთელ ქვეყანაში.

სოფლის მეურნეობაში ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოება ძალიან მნიშვნელოვანია, დიდი პოტენციალი გვაქვს ასევე სხვა ინტელექტუალური პროდუქტების და სამხედრო წარმოების განვითარების კუთხით.

აუცილებლად და სასწრაფოდ უნდა შევძლოთ ზღვის სიკეთის მაქსიმალური გამოყენება, პორტები, თავისუფალი ეკონომიკური ზონები, შესანახ-სასაწყობე სერვისის განვითარება, მაცივრები.

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია განათლებული, მოტივირებული ახალგაზრდა პატრიოტი გოგო-ბიჭების დასაქმება უსაფრთხოების, დაზვერვის, პოლიციის, სპეც და სხვა ეროვნულ სამსახურებში, რეფორმები და სტანდარტების ამაღლება ჯარში, საზღვრების მკაცრი კონტროლი, უფრო მეტი ტექნიკის და კამერების მონტაჟი გზებზე, უბნებში, სოფლებში, ქალაქებში და ამ ინფორმაციის კოორდინირებული მართვა, შეუბრალებელი ბრძოლა კრიმინალთან, კორუფციასთან.

ემიგრანტების დაბრუნების ხელშეწყობა და მათი გამოცდილების და კაპიტალის ეროვნულ, კომერციულ ინტერესებში ინვესტირება. აუცილებელია წარმატებული სტუდენტების სწავლისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსება მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში, რა თქმა უნდა, შესაბამისი კონტრაქტების საფუძველზე, რომ ისინი სწავლის დამთავრების შემდეგ გარანტირებულად დასაქმდებიან სამშობლოში.

და კიდევ ბევრი სხვა მრავალი, აქ ყველაფერზე ვერ ვილაპარაკებთ, მიყვარხართ და მჯერა, რომ გამოგვივა თუ არ „გვინდებლარიენ ჯღანავი!“ და მართლა გვსურს წარმატებული ქართული სახელმწიფოს აშენება!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ტროტუარზე პარკირებული ავტომობილი დაუყოვნებლივ დაექვემდებარება ევაკუაციას

პარლამენტში ინიცირებულია კანონპროექტი, რომლის თანახმად, ავტომობილის არასწორად პარკირებისთვის ჯარიმების რაოდენობა იზრდება.

კერძოდ, პროექტის თანახმად, ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილ ტროტუარზე პარკირებული ავტომობილი დაუყოვნებლივ დაექვემდებარება ევაკუაციას; მუნიციპალიტეტს მიენიჭება უფლება განსაზღვროს საავტობუსო ზოლზე ტაქსის გადასვლის ადგილები და პირობები; უქმდება მანქანის საქარე მინაზე ჯარიმის ოქმის დატოვების წესი, სამართალდამრღვევს ოქმი გაეგზავნება სტანდარტული წესით და ამავდროულად მიუვა სმს შეტყობინება.

ამასთან, ავტომობილის – ველოსიპედის ბილიკზე მოძრაობა, დგომა ან გაჩერება; ტაქსის პარკირების ადგილზე გაჩერება; სატრანსპორტო საშუალების გზაზე მიტოვება; ელექტროძრავიანი სატრანსპორტო საშუალების დამუხტვის ადგილზე პარკირება და შშმ პირებისთვის განკუთვნილ გაჩერების ადგილზე პარკირება, გამოიწვევს დაჯარიმებას არსებული 50 ლარის ნაცვლად 100 ლარით.

მსუბუქი მანქანისათვის გამოყოფილ პარკინგზე ტრაილერის, ავტობუსის და სხვა შეუსაბამო ტიპის სატრანსპორტო საშუალების პარკირება ასევე გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

ამავდროულად, ზონალური პარკირების სისტემის დანერგვამ განაპირობა ამკრძალავი ნიშნის მოთხოვნის დაუცველობასა და პარკირების წესის დარღვევაზე ჯარიმის 10-დან 50 ლარამდე გაზრდის საჭიროება.

ლევან კორღალიძე: „საქართველოს ჩემპიონატში პროგნოზის გაკეთება რთულია“

დღეს ეროვნულ ლიგის მეორე წრე დაიწყება. ჯერ მთავარი ბრძოლები წინ არის, მაგრამ უკვე გამოიკვეთენ ფავორიტები. დიდი ალბათობით, მედლებისთვის ოთხი გუნდი იბრძოლებს — ბათუმისა და თბილისის დინამოები, გორის დილა და საბურთალო. პირველ წრეს საბურთალოს მთავარი მწვრთნელი, ლევან კორღალიძე აფასებს.

ლევან კორღალიძე:

– ყველა შეხვედრა მნიშვნელოვანია, მაგრამ თელავთან მატჩს სხვა დატვირთვა ჰქონდა. ვიცოდით, რომ თუ თბილისის დინამო გაგრასთან დამარცხდებოდა და ჩვენ შეხვედრას მოვიგებდით, პირველ წრეს მე-3 ადგილზე დავასრულებდით. სასიამოვნოა, რომ ასე მოხდა, მაგრამ თელავში 3 ქულის მოპოვება, იოლი ნამდვილად არ იყო. მეტოქე მებრძოლი და კარგად დაკომპლექტებული კლუბია. ბევრ გუნდს გაუჭირდება კახეთში გამარჯვება.

– გათამაშების ცხრილს რომ გადავხედოთ, გატანილ გოლებში საბურთალო მე-2 ადგილზეა, მაგრამ მოწინავე გუნდებიდან პირველია, რომელმაც საკუთარ კარში 10 გოლი მიიღო. ამ მიმართულებით, ალბათ, ბევრია სამუშაო.

– როდესაც მწვრთნელები პირველ წრეს ვაჯამებდით, აღვნიშნეთ, რომ ბევრი გოლი გავუშვით. თუმცა, ამ მიმართულებით ვაგრძელებთ მუშაობას და იმედი მაქვს, გამოვასწორებთ. მეორე მხრივ, სასიამოვნოა, როდესაც ამდენი გოლი გაგაქვს. შემტევ ფეხბურთს ვთამაშობთ. ჩანს, რომ შეტევით ხაზში არ გვიჭირს, თუმცა დაცვაში ხარვეზები გვაქვს და უნდა გამოვასწოროთ. როდესაც უტევ, უკან ცარიელი სივრცეები რჩება. აქედან გამომდინარე, დაცვაში უფრო ყურადღებით გვმართებს თამაში.

– საბურთალო 2 მატჩში დამარცხდა – გაგრასა და დილასთან. რა იყო წაგებების მიზეზები?

– ანალიზი ყოველი მატჩის შემდეგ კეთდება. ასე იყო ამ შემთხვევებშიც. არც ერთ გუნდს არ ვაკნინებ, უბრალოდ, ისე ხდება, რომ ზედა პოზიციებზე მყოფ კლუბებთან უფრო ხარისხიან ფეხბურთს ვთამაშობთ. არც ერთ შეხვედრაში წაგებას არ ვიმსახურებდით, მაგრამ ფეხბურთი იმით არის საინტერესო, რომ წინასწარ შედეგს ვერ დაგეგმავ. ზოგადად, საქართველოს ჩემპიონატში პროგნოზის გაკეთება რთულია, რადგან ყველას შეუძლია ტოლ-სწორად თამაში. გაგრაც და დილაც, რომლებთანაც დავმარცხდით, 2-ვე კარგად დაბალანსებული კლუბია. ეს თამაშითაც დაამტკიცეს.

– ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საბურთალო ბოლო მატჩებში ახლოს იყო გამარჯვებებთან, როგორც ბათუმის, ისე თბილისის დინამოებთან. გამოუცდელობის ბრალია, რომ საბურთალოს ამ გუნდებთან გამარჯვებამდე ცოტა დააკლდა?

– 8 ახალი ფეხბურთელი გვყავს, ჯერ კიდევ შემადგენლობის ძიებაში ვართ. მჯერა, დროთა განმავლობაში კიდევ უფრო მოვუმატებთ. არაა მარტივი, დიდი ხნის განმავლობაში უგებდე თბილისის დინამოს, ასევე, ბათუმს მისსავე სტადიონზე. სამწუხაროდ, ვერ შევინარჩუნეთ მოპოვებული უპირატესობები, მაგრამ არა უშავს, დადებითი ძვრები შეინიშნება.

პირველი წრის მატჩს მიეკუთვნება სუპერთასის შეხვედრაც. იმ თამაშში ბათუმის დინამოს უფრო გაუმართლა პენალტების სერიაში და დაეუფლა თასს.

– ახალწვეულები რამდენად მარტივად შეეწყვნენ კლუბს?

– როდესაც ფეხბურთელი ახალ გუნდში მიდის, ადაპტაციისთვის სჭირდება დრო. ასეა ჩვენს შემთხვევაშიც. რაც მთავარია, სელექციით კმაყოფილი ვარ, ყველა მათგანი ბოლომდე იხარჯება. საბურთალოში დიდი კონკურენციაა, ხშირად მივმართავთ ხოლმე როტაციას.

– ლეგიონერებზეც გკითხავთ: ამ დროისთვის საბურთალოში 2 ფეხბურთელი ირიცხება, მიოჩ ბენედიკი და ჟულიუს ვინისიუსი. ხორვატს ბოლო მატჩებში ეძლევა თამაშის შესაძლებლობა, რასაც ვერ ვიტყვით ბრაზილიელზე. რა შეგიძლიათ თქვათ ლეგიონერებზე?

– რა თქმა უნდა, ყველაფერი ფეხბურთელზეა დამოკიდებული. როგორც წარმოაჩენენ თავს, იქიდან გამომდინარე მიეცემათ თამაშის შესაძლებლობა. 2-ვე მათგანით კმაყოფილი ვარ, მეიმედება ამ ფეხბურთელების და ვნახოთ, დანარჩენს დრო გვიჩვენებს.

– 2 თვეზე ოდნავ მეტია დარჩენილი, როდესაც საბურთალო ევროტურნირებში ჩაერთვება. მანამდე ხომ არ იგეგმება რომელიმე პოზიციაზე ფეხბურთელების დამატება?

– ჩვენ გვაქვს სურვილი ლეგიონერების დამატების. შესაძლოა, წერტილოვანი გაძლიერება მოხდეს. თუმცა, როდესაც ლეგიონერი ჩამოდის საქართველოში, ადგილობრივ ფეხბურთელს ბევრად უნდა სჯობდეს. ასეთ შემთხვევაში მიმაჩნია სწორად ლეგიონერის დამატება. ვნახოთ, არ გამოვრიცხავ არაფერს.

გლოსტერის მწვრთნელს გიორგი კვესელაძის ეიმედება

ცნობილმა ქართულმა სარაგბო ჟურნალმა „რაგბიპასმა“ ქართველ მორაგბეს, გიორგი კვესელაძეს მცირე, მაგრამ ძალიან საინტერესო სტატია მიუძღვნა.

წერილის ავტორმა თვით დიდი ბრაინ დრისკოლის სიტყვები გაიხსენა და სტატიაც მისი სიტყვებით დაიწყო.

– გლოსთერის თავკაცმა ჯორჯ სკივინგტონმა, 2020 წლის დეკემბერში შემოდგომის ერთა თასზე ირლანდიასთან გატანილი ლელოს შემდეგ, ფსონი უცნობ ქართველ მოთამაშეზე, გიორგი კვესელაძეზე გააკეთა. კვესელაძე მაშინ მარნეულის არმაზის 23 წლის ნახევრად პროფესიონალი იყო და ყურადღება იმით მიიპყრო, რომ ბრაიან ოდრისკოლმა თვითერზე დითირამბებით შეამკო:

– მე რომ ევროპული კლუბი ვიყო, რომელიც ცენტრს ეძებს, სერიოზულად დავაკვირდებოდი ქართველ 13 ნომერ გიორგი კვესელაძეს. შესანიშნავი ლელოს გარდა, ის გამოირჩა დაცვაში საიმედო თამაშით. განათლებული და შრომისმოყვარეა.

იმ დღეს კვესელაძე მატჩის საუკეთესო არ გამხდარა, მაგრამ მისი თამაში საუკეთესო იყო შემოდგომის ერთა თასზე და მალე სწორედ გლოსთერმა უხმო. კვესელაძე, 16 თვის შემდეგ, ინგლისურ კლუბში, პრემიერლიგის ნახევარფინალში თავისი მე-15 მატჩისთვის ემზადება.

გლოსთერში თამაშის პარალელურად, საერთაშორისო კარიერასაც აგრძელებდა. ნოემბერში საფრანგეთის წინააღმდეგ ითამაშა, მერე კი საქართველოს 2023 წლის მსოფლიო თასზე გასვლაში დაეხმარა.

სკივინგტონი ქართველ მორაგბეზე ამბობს:

– ის ხარისხიანი მორაგბეა. ირლანდიას მართლაც გამორჩეული ლელო გაუტანა. ახლა პრემიერლიგის ინტენსივობასთან შეგუების პერიოდი უდგას და მუხლჩაუხრელად შრომობს საკუთარი თამაშის დასახვეწად და ინგლისური ენის შესასწავლად. სურს ჩვენი გუნდის ნაწილი იყოს და აშკარაა, ნათელი მომავალი აქვს. მართალია, ამ სეზონში საკმარისი სათამაშო დრო არ ჰქონდა და რამდენჯერმე საქართველოს ნაკრებში გაემგზავრა. აქედან გამომდინარე სასურველი ბალანსი ვერ დავიცავით, მაგრამ შესანიშნავი ადამიანი და მორაგბეა. ფაქტია, დიდი პოტენციალი აქვს.

საქართველოს ნაკრებში თამაშისას, შთამბეჭდავი იყო დაზღვევისას, მაგრამ გვსურს, ენერგია საჭირო დროს გამოიყენოს და სისტემაში ჩაჯდეს. ბრისტოლთან ეს შესანიშნავად მოახერხა, ხოლო ვუსტერთან 12 ნომრის პოზიციასაც კარგად გაართვა თავი. გიორგიმ თამაშის მერე მითხრა, რომ მოსწონს 12 ნომრად თამაში. მუდმივი პროგრესი აქვს და მას უფრო მეტი სათამაშო დრო ექნება, ვიდრე გასულ სეზონში. მჯერა, ის ძალიან კარგი მოთამაშე გახდება.

ღია ვართ და დიდ ყურადღებას ვუთმობთ გლოსთერის ახალგაზრდა მორაგბეებს. თუმცა, სხვა, დაბალი დონის ჩემპიონატებში, რომლებიც ვერ პასუხობენ პრემიერლიგის სტანდარტებს, არიან გიორგის მსგავსი შემსრულებლები და თუ ასეთ ხარისხიან შემსრულებლებს ვიპოვით, შესანიშნავი იქნება. სათქმელად უფრო მარტივია, ვიდრე შესასრულებლად, მაგრამ ღია ვარ ნებისმიერისთვის, ვისაც სწავლა და განვითარება უნდა.

შედეგები

27 აპრილი

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

ლივერპული-ვილიარეალი 2:0

ინგლისი. ჩემპიონლიგა

მიდლსბრო-კარდიფი 2:0

იტალია. სერია ა

ფიორენტინა-უდინეზე 0:4

ატალანტა-ტორინო 4:4

ბოლონია-ინტერი 2:1

სატუნინიო ცხრილი:

1.მილანი	34	22	8	4	60-30	74
2.ინტერი	34	21	9	4	72-28	72
3.ნაპოლი	34	20	7	7	61-30	67
4.იუვენტუსი	34	19	9	6	52-30	66
5.რომა	34	17	7	10	55-40	58
6.ლაციო	34	16	8	10	66-50	56
7.ფიორენტინა	34	17	5	12	54-46	56
8.ატალანტა	34	15	10	9	61-43	55
9.ვერონა	34	13	10	11	59-51	49
10.სასუოლო	34	12	10	12	59-55	46
11.ტორინო	34	11	11	12	42-36	44
12.უდინეზე	34	10	13	11	53-52	43
13.ბოლონია	34	11	9	14	39-48	42
14.ემპოლი	34	9	10	15	45-62	37
15.სპეცია	34	9	6	19	34-59	33
16.სამპდორია	34	8	6	20	41-57	30
17.კალიარი	34	6	10	18	31-62	28
18.ჯენოა	34	3	16	15	25-54	25
19.სალერნიტანა	33	6	7	20	28-70	24
20.ვენეცია	33	5	7	21	27-61	22

ავსტრია. ბუნდესლიგა

ვოლფსბერგერი-აუსტრია 1:1

რაპიდი-კლაგენფურტი 2:2

შტურმი-ზალცბურგი 2:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

მადლიერ პაციენტთა რიცხვი ათასობითაა:

ლია თეთრაშვილი: მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

კლარა წიტაიშვილი: კორონას შემდეგ დამეწყო საშინელი თმის ცვენა. ვცადე ძალიან ბევრი საშუალება, მაგრამ უშედეგოდ. ლამარა თოდუას წამლებმა თმის ცვენა ხომ შემიჩერა და თმა გაცილებით ხშირიც გამიხდა. ვისაც მსგავსი პრობლემა აქვს, ვურჩევ მიაკითხოს ქალბატონ ლამარას.

თინა სორდია: კორონამ დამიტოვა საშინელი ხველა და ქოშინი. ლამარა თოდუას წამლების მიღებიდან მესამე დღესვე შემისუსტდა ხველა, გულიც აღარ მეღლება. 5-6 დღის შემდეგ ძილიც გამიუმჯობესდა.

ლილი კიზირია: 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იუოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ქართული ავიაკომპანია; 2. ოფიციალური სახელმწიფო ენა ავღანეთში; 3. მთავრობის მეთაური გერმანიაში; 4. კვერნისებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი მღრღნელი ცხოველი; 5. სახელმწიფო რელიგია იაპონიაში; 9. მუსიკალური ნაწარმოები; 12. რკალითა და ორი რადიუსით შემოსაზღვრული წრის ნაწილი; 14. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 15. მდინარე ჰამბურგში; 17. დუდუკზე შესრულებული დიდის ჰანგი; 18. მიწის ფართობის საზომი ერთეული აშშ-ში.

თარაზულად: 6. ჩინეთის საინფორმაციო სააგენტო; 7. რაიმეს სახეცვლილება, ნაირსახეობა; 8. თავდავიწყებით გატაცება რაიმეთი; 10. წყლის საქაჩი მექანიზმი; 11. იტალიელი პოლიციელი; 13. მოწინააღმდეგე კამათში; 16. „ფორმულა-1“-ში მონაწილე მექსიკელი ავტომრბოლელი; 19. მკვლელობათა საქმეების გამომძიებელი აშშ-ში; 20. ქუჩის მუსიკოსთა სახელწოდება საფრანგეთში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. იედო; 2. არა; 3. ალარმისტი; 4. გიენა; 5. გაუტამა; 8. სვია; 9. ჰიპნოზი; 10. გენეტიკა; 12. წულაძე; 13. კრონა; 15. მრუმე.

თარაზულად: 1. იდიოტია; 6. გლიპტიკა; 7. დასტა; 10. გორდი; 11. ხიხვი; 13. კანტე; 14. ზუმხა; 16. არგო; 17. ისტვუდი; 18. გაზეთი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. შეპარდი; 2. ალუვი; 3. რეზექცია; 4. ავოკადო; 5. ტექტონიკა; 9. აფონია; 12. გურზუფი; 14. დიქცია; 15. არგო; 17. რვალი; 18. აბიო.

თარაზულად: 6. ტეკილა; 7. ცერცვაძე; 8. ცაცხვი; 10. ქაირო; 11. ჰიდროფობია; 13. ადორაცია; 16. ტუნდრა; 19. ბრიუსელი; 20. ფანდანგო.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

29 აპრილი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0597

ევრო — 3.2157

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.8188

100 რუსული რუბლი — 4.2093

ამინდის პროგნოზი 29 აპრილისათვის

ჯანო ანანიძემ კარიერა დაასრულა

ჯანო ანანიძემ 29 წლის ასაკში კარიერის დასრულება გადაწყვიტა და ეს მისი ხშირი ტრავმებით არის გამოწვეული, რის გამოც ანანიძემ ვერ შეძლო თავისი პოტენციალის ბოლომდე გამოვლენა.

ანანიძე ბოლო ერთი წლის მანძილზე გუნდის გარეშე იყო და კარიერის დიდი ნაწილი მან მოსკოვის სპარტაკში გაატარა.

კლოპი: „ლივერპულმა თითქმის იდეალური შეხვედრა ჩაატარა“

ლივერპულმა ჩემპიონთა ლიგის პირველ ნახევარფინალში საკუთარ მოედანზე ვილიარეალი დაამარცხა ანგარიშით 2:0 და მატჩის შემდეგ იურგენ კლოპი თავისი შეგირდების გარჯით კმაყოფილი იყო:

– ჩვენ მთელი მატჩის მანძილზე ვდომინირებდით და მეტოქეს თითქმის შანსი არ დავუტოვეთ. შეგვეძლო, მეტიც გაგვეტანა, მაგრამ ანგარიშით მაინც კმაყოფილი ვარ. ესპანეთში იოლი გასეირნება არ გველის.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ზუმბა: „ჩვენი პირველი მტერი გაუნათლებლობაა“

ასე მიაჩნია მომღერალ ზაზა კორინთელს, იგივე ზუმბას:

– როგორ ვხედავ საქართველოს წარმატებულ სახელმწიფოდ? ყველაფერი გამოგვივა თუ ერთობა და ნება იქნება, რა თქმა უნდა.

დავიწყოთ იმით, რომ ჩვენი პირველი მტერი გაუნათლებლობა, საქმის უცოდინარობა, უგულურება, ვაიპატრიოტიზმი, რეგიონალური თუ ურბანული პროვინციალიზმია და მერე სხვა გარე ფაქტორები.

წარმატებულ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობა და მათი გამოცდილების გაზიარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ინტეგრაცია ევროპასთან, დასავლეთთან, ნატოსთან, უფრო აქტიური მუშაობა მეზობლებთან რეგიონში უსაფრთხოების საკითხებზე, რა თქმა უნდა, ამ ეტაპზე აგრესორ და დამპყრობელ ჩრდილო მეზობელს არ ვგულისხმობ.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ასტროპროგნოზი



29 აპრილისათვის

ვერძი – კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა იღბლიანია. ორგანიზებულობა და სითამამე დღის დევიზია. ** კურო** – ილუზიებს ნუ აჰყვებით. საღი აზრი შეინარჩუნეთ. შორს გამგზავრება რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** – ახლობლები იმედს გაგიცრუებენ. პროფესიაში უკუსვლაა მოსალოდნელი. **კირჩხიბი** – დაისვენეთ, შეიცვალეთ გარემო. ახალი საქმის დასაწყებად ენერგია გჭირდებათ. **ლომი** – იდეების რეალიზებაში კოლეგები დაგეხმარებიან. შესაძლოა, დაგასაჩუქრონ. **ქალწული** – გარისკვა დღეს სასურველ შედეგს გამოიღებს. ფინანსურ ოპერაციებში გიმართლებთ. **სასწორი** – არაჯანსაღი გარემო, საკვები და ინერტულობა ჯანმრთელობას გაგიუარესებთ. ფიზიკური დატვირთვა დღეს სავალდებულოა. **ღრიანკალი** – რომანტიკული შეხვედრა ხასიათს გამოგიკეთებთ. ეცადეთ, დღეს ნაკლები იმუშაოთ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ კომერციულ გარიგებებსა და საქმიან შეხვედრებს. უმჯობესია, ეს დღე ოჯახურ ატმოსფეროში გაატაროთ. **თხის რქა** – ოფიციალურობა და სიხისტე არასასურველია. იყავით გულმოწყალე და მიმნდობი. **მერწყული** – სრულყავით პროფესიონალიზმი, შეისწავლეთ ახალი საქმე. სულიერებაზეც იზრუნეთ. **თევზები** – სოლიდური ორგანიზაციები თქვენ მიმართ ინტერესს ავლენენ. ეცადეთ, საკუთარი ნიჭი და უნარი ფართოდ წარმოაჩინოთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

დილით მამაკაცს მძიმე „პახმელიაზე“ ელვიძება, გვერდით მწოლიარე ქალს დაინახავს და ეკითხება:

– შენ ვინ ხარ?

– ნეტა სად ვარ?

●●●

მაღაზიაში შესულ მიხოს ქათმის სახელი დაავიწყდა, გამყიდველს კვერცხზე მიანიშნა და ეკითხება:

– დედამისი სად არის?

●●●

გოგო ბიჭს ეუბნება:

– მალე უფრო ახლოს გამიცნობ საყვარელო...

– მერე, რა იქნება?

– რა და მინდა წინასწარ ბოდიში მოგიხადო!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს შესჩივის:

– სახლი ტარაკანებით გამევსო, სადაც გაიხედავ, ყველგან ეგენი არიან, არ ვიცი, რა მოვუხერხო.

– ტარაკანების ცარცი იყიდე.

– რა, შველის?

– როგორ არა, აგერ ხედავ, თავისთვის კუთხეში სხედან და ხატავენ...

●●●

დედა შვილს მკაცრად ეკითხება:

– გუშინ სკოლაში რატომ არ იყავი?

– მასწავლებელს საჩუქარი გავუკეთე.

– რა საჩუქარი?

– გუშინ დაბადების დღე ჰქონდა და აღარ შევაწუხე.

●●●

სექსის შემდეგ ქალი კაცს ეკითხება:

– აბა, მიაღწიე იმას, რაც გსურდა?

– შეიძლება ითქვას, კი! და შენ?

– მაგას ტესტი გვაჩვენებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ირაკლი მაქაცარიამ ლიზა ჩაჩუას ხელი სთხოვა



გადაცემა „პარიმ შოუს“ ერთ-ერთმა წამყვანმა ირაკლი მაქაცარიამ თავის რჩეულს მომღერალ ლიზა ჩაჩუას ხელი სთხოვა და საყვარელი ადამიანისგან თანხმობაც მიიღო.

ხელის თხოვნის ცერემონიალი ირაკლიმ ბუნებაში, ღია ცის ქვეშ მოაწყო. წითელი გულებითა და სანთლებით განათებულ მინდორზე, უახლოესი მეგობრების თანდასწრებით, წყვილმა ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო.

ირაკლისა და ლიზას ბედნიერების ამსახველი ვიდეო ინტერნეტით გავრცელდა და ათასობით მოწონება, მილოცვა და დადებითი კომენტარიც დაიმსახურა.

ბესიკ ხარანაულმა დაა ჯილდოვეს



კომპანია „არდის“ ტრადიციული პრემია „ოქროს ვარდი“ წელს თანამედროვე ლიტერატურის ლეგენდას ბესიკ ხარანაულს გადაეცა.

– არდის გუნდი საზოგადოებისა და სხვადასხვა სფეროს განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ყოველწლიურად ავლენს „ოქროს ვარდის“ ლაურეატს.

მადლობას ვუხდით ბატონ ბესიკს იმ უძვირფასესი შემოქმედებისათვის, რომელიც არაერთი თაობისთვის არის ღირებული და კიდევ უფრო მეტისთვის გახდება, მომავალში, – ნათქვამია კომპანიის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

იულონ გაგოშიძეს ეროვნული მუზეუმიდან უშვებენ

არქეოლოგ იულონ გაგოშიძეს ეროვნული მუზეუმიდან გაუგზავნეს გამზადებული განცხადება, სადაც მხოლოდ ხელის მოწერაა საჭირო. განცხადებაში, რომელიც ეროვნული მუზეუმის დირექტორის დავით ლორთქიფანიძის სახელზეა შედგენილი, მხოლოდ ერთი წინადადება წერია:

– გთხოვთ გამათავისუფლოთ სამსახურიდან 2022 წლის პირველი ივნისიდან.

ინფორმაცია ჟურნალისტმა მაია ლომიძემ გაავრცელა:

– ეროვნული მუზეუმის კანცელარიამ ეს ფურცელი გამოუგზავნა ხელმოსაწერად გამოჩენილ ქართველ არქეოლოგს, მწიგნობარს, იულონ გაგოშიძეს.

კაცს, რომელიც თბილისის უნივერსიტეტების გარდა კითხულობდა გერმანიაში ჰალეს უნივერსიტეტში, მიუნსტერის უნივერსიტეტში, იენის უნივერსიტეტში, დანიაში აარხუსის უნივერსიტეტში.

მეცნიერს, რომელსაც გამოქვეყნებული აქვს ანტიკური და შუა საუკუნეების საქართველოს არქეოლოგიის სხვადასხვა საკითხისადმი მიძღვნილი 300-ზე მეტი ნაშრომი – 8 მონოგრაფია ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, აზერბაიჯანულ და სპარსულ ენებზე.

ღირსების ორდენოსანს, მართლაც ღირსეულ კაცს, კეთილს, საყვარელს, გულში ჩასაკრავს, საამაყოს და ხელისგულზე სატარებელს, აი ამ ერთი წინადადებით ისტუმრებენ სამსახურიდან, სადაც 50 წელი იმუშავა და აქამდე 165 ლარს უხდიდნენ.

ქართული ოცნება – თქვენ ადამიანები ხართ?

კინოს სახლში სალომე ჯაშის ფილმის ჩვენება აკრძალეს

რეჟისორ სალომე ჯაშის დოკუმენტური ფილმის „მოთვინიერება“ ჩვენება კინოს სახლში აკრძალეს.

91-წუთიანი დოკუმენტური ფილმი საქართველოს უმდიდრეს და ყველაზე ძლევამოსილ ადამიანზეა, რომელსაც უჩვეული გატაცება აქვს: უზარმაზარ, საუკუნოვან ხეებს აგროვებს. მისი დავალებით ხეებს ზღვისპირეთიდან თხრიან და ხელოვნურად გაშენებულ დენდროლოგიურ პარკში გადააქვთ. ულამაზესი ხეების მოგზაურობის მომაჯადოვებელი სურათის ფონზე იკვეთება ადამიანის მიერ ბუნების მოთვინიერების თემა და სხვა უნივერსალური საკითხები.

ფილმი ევროპის კინოაკადემიის ჯილდოს ნომინანტია. მისი პრემიერა გასულ წელს სანდენსისა და ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალებზე შედგა.

ინფორმაცია ფილმის ჩვენების აკრძალვის შესახებ რეჟისორმა თავად გავრცელა:

– ვინც კინოს სახლში „მოთვინიერების“ ჩვენებაზე აპირებდით მოსვლას, პირველი სეანსის გარდა, ყველა სეანსი გააუქმა კინოაკადემიამ. მიზეზი, რომელიც მის დირექტორს მინდია ესაძეს აქვს, ისაა, რომ მათთვის მიუღებელია აჩვენონ „ნაწარმოები, რომელიც აზრთა სხვაობას იწვევს და საზოგადოებას პოლიტიკური ნიშნით ყოფს“.

მინდია ესაძეს ფილმი არ უნახავს. კი, ფილმი იწვევს აზრთა, ასევე გრძნობათა უფრო მრავალფეროვნებას, ვიდრე სხვადასხვაობას. ქართულ პოლიტიკაზე ფილმში ხსენება არაა და რომც იყოს, მერე რა.

ერთი დეტალი: ფილმი ნომინირებული იყო ევროპის კინოაკადემიის ჯილდოზე. ხოლო ქართული კინოაკადემია ფილმის საკუთარ დარბაზში გაშვებაზე ამბობს უარს, იმიტომ, რომ არ „გაიჭყლიტონ“ – ესეც ციტატაა.

მოკლედ, ვეძებ დარბაზს, ეკრანს ფილმის ჩვენებების გასაგრძელებლად და მაყურებლისთვის იმ გამოცდილების გასაზიარებლად, რომელიც ფილმის მთელმა გუნდმა ერთად შევეცადეთ შეგვექმნა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოხვოხდი ა



შვეულად: 1. კამეჩის ნაშიერი; 2. მოწითალო, ყვითელი ფერის თმის საღებავი; 3. სიბერით გამოწვეული დაავადებათა შემსწავლელი მედიცინის დარგი; 4. დაუსაბუთებლად, ბრმად მიღებული დებულება; 5. თანამდებობის ყიდვა-გაყიდვა შუა საუკუნეების კათოლიკურ ეკლესიაში; 8. გამარჯვების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 9. ისტორიულ მოვლენათა ქრონოლოგიური ჩანაწერი; 10. გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 12. დაბალი ხარისხის შაქარი; 13. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ჩიკაგოს აეროპორტი; 15. ყვითელი წვნიანი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი.

თარაზულად: 1. იმერეთში გავრცელებული ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 6. იუმორისტული საგაზეთო პუბლიკაცია; 7. პატარა საარყე ტიკჭორა; 10. კათოლიკური ჯვარი; 11. წითელი ზღვისპირა კურორტი იორდანიაში; 13. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 14. ეკლესიიდან განმდგარი მორწმუნეთა ჯგუფი; 16. ყველაზე დაბალი რეგისტრის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 17. ბუნებრივი განიავება; 18. ერთ-ერთი კონტინენტი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა